საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 8 დეკემბერი. 2021 წ. №210 (9329) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

ნუ ვანგრევინებთ ქვეყანას!..

მთავარ სათქმელს ვიდრე შევეხებოდე, ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა ტელევიზიების, კერძოდ, „ტვ პირველის", „მთავარი არხის", „ფორმულისა" და „კავკასიის" შესახებ. მათი თანამშრომლები თავიანთ სინდისს გაურიგდნენ და გამიზნულად ანგრევენ ქვეყანას, ქართულ სულიერებას. ისინი უალრესად ცალმხრივად და მიკერძოებულად აშუქებენ მოვლენებს, ნაციონალების რუპორები არიან და თუ მათი გადაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, ამას არც მალავენ.

„ტვ პირველის" ჟურნალისტები: ინგა გრიგოლია, დიანა ტრაპაიძე, ეკა მიშველაძე, ნოდარ მელაძე... მათი დამხმარე არტილერია: გაფრინდაშვილი, ქაჯაია... და სხვა ტელევიზიების ჟურნალისტებიც სანიმუშო მაგალითებია იმისა, თუ როგორი არ უნდა იყოს ჟურნალისტი. ამ ჯოჯოხეთის ქვასანაყებს საკუთარი ჭკუა, ისედაც ჭკუით გაჭირვებულებს, სულ გამოულია უზარმაზარმა ხელფასებმა, რომელთა მსგავსი არც ერთ მეცნიერს, აკადემიკოსს, ხელოვნებისა და კულტურის საქვეყნოდ აღიარებულ მოღვაწეებს არც დაესიზმრებათ. თუ ეს ასე არ არის, მაშინ გაასაჯაროონ თავიანთი ხელფასები და მეც საქვეყნოდ ბოდიშს მოვუხდი. ან რატომ ჰგონიათ ამ „ტასიკოს ბატებს" აღარ გვახსოვდეს, როგორ ჭიკჭიკებდნენ ისინი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ტელევიზიებში?

„განხორციელებული უძლურობაა, გოდებაა, მომასწავებელი ყოველგვარი უბედურებისა, მონობისა, გინა ავაზაკობისა და სხვა გვარის ბეჩაობისა".

ვაჟა-ფშაველა

იხ. 6-7 გვ.

ანზორ თოთაძე: საქართველო მე მაგონებს დიდ თეატრს, რომლის სცენაზე შერეკილი რეჟისორები საქართველოს ტრაგედიას დგამენ.

ირაკლი ღარიბაშვილი დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე მიიწვიეს

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებელმა და აღმასრულებელმა თავმჯდომარემ კლაუს შვაბმა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე მიიწვია, რომელიც 2022 წლის 17-21 იანვარს შვეიცარიაში, ქალაქ დავოსში გაიმართება, — ამის შესახებ ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ოფიციალურ მიწვევაში, რომელიც საქართველოს მთავრობის მეთაურმა მიიღო, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებელი და აღმასრულებელი თავმჯდომარე ფორუმის მნიშვნელობაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ მსოფლიოს პოლიტიკური, სამეწარმეო და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერების შეკრება სამომავლო თანამშრომლობის განმტკიცებისთვის აუცილებელია.

„მაქვს პატივი, მოგიწვიოთ ყოველწლიური მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2022 წლის შეხვედრაზე, რომელიც 17-21 იანვრის პერიოდში შვეიცარიის ქალაქ დავოსში გაიმართება.

მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკური, სამეწარმეო და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერების შეკრება აუცილებელია თანამშრომლობის გზით მომავლის შენების რწმენის განსამტკიცებლად. ფორუმის მონაწილეები მადლიერნი იქნებიან, თუ ექნებათ შესაძლებლობა, მოისმინონ თქვენი ხედვა საქართველოში მდგრადი და თანაბარი ეკონომიკური აღდგენის უზრუნველყოფის შესახებ. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი მჭიდროდ ითანამშრომლებს თქვენს აპარატთან იმისთვის, რომ თქვენი მონაწილეობა რელევანტური იყოს თქვენთვის და თქვენი ქვეყნისთვის. მოუთმენლად ველი, რომ პირადად გიმასპინძლებთ დავოსში", — აღნიშნულია ოფიციალურ მიწვევაში, რომელიც პრემიერ-მინისტრმა მიიღო.

სამუშაო ადგილები ისევ იკარგება ④

მაინც, რატომ წავაგეთ რუსულ ენერგოგიგანტთან 80-მილიონიანი საარბიტრაჟო დავა?

სად არიან მწერლები, მწერლები ⑤ სად არიან?

ნაციონალური ვირეშმაკობები

მიხას ფსიქიკური მდგომარეობის აფიშირებით მისი ქვეყნიდან გაყვანის ფონი მზადდება! ③

დასავლეთს პუტინის ⑨ შანტაჟის არ ეშინია!

მილიონების არის მრავლობა!..

ირაკლი ღარიბაშვილი: ქვეყნის ეკონომიკის მთლიანი მოცულობა მომდევნო წელს იქნება 65 მილიარდი ლარი, რაც ნიშნავს, რომ ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებული მშპ 5 500 დოლარს გადააჭარბებს, რაც ისტორიული მაქსიმუმია

ქვეყნის ეკონომიკის მთლიანი მოცულობა მომდევნო წელს იქნება 65 მილიარდი ლარი, რაც ნიშნავს, რომ ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტი 5500 დოლარს გადააჭარბებს, რაც ისტორიული მაქსიმუმია, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის 6 დეკემბრის სხდომაზე განაცხადა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, პანდემიის მიუხედავად 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში არ მცირდება კაპიტალური დანახარჯები.

„ჩვენ წელს გვქონდა მაღალი ეკონომიკური ზრდა. ჩვენი პროგნოზით, წლის ბოლოს ორნიშნა ეკონომიკურ ზრდაზე გავალთ, რამაც საშუალება მოგვცა, რომ წელს პირველად დამტკიცებულ ვარიანტთან შედარებით, ბიუჯეტი გაგვეზარდა 1 მილიარდ 310 მილიონი ლარით. ამას გარდა, ვალის შემცირებაც მოვახერხეთ და 2022 წელს მშპ-სთან მიმართებით, 60%-დან, რომელიც იყო ქვეყნის საგარეო ვალი, შემცირდება ჩვენი ვალი 51,1%-მდე. ნაერთი ბიუჯეტი იქნება 21,8 მილიარდი ლარი. 2022 წელს დაგეგმილი გვაქვს 6%-იანი ეკონომიკური ზრდა. ქვეყნის ეკონომიკის მთლიანი მოცულობა მომდევნო წელს იქნება 65 მილიარდი ლარი, რაც ნიშნავს, რომ ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტი 5500 დოლარს გადააჭარბებს, რაც ისტორიული მაქსიმუმია. ჩვენ მომდევნო წელსაც პანდემიის შედეგად გაზრდილ ვალს და საბიუჯეტო დეფიციტს ვამცირებთ. ბიუჯეტის დეფიციტი იქნება 4,2% და მთავრობის ვალი როგორც მოგეხსენებათ 51,1% იქნება 2022 წელს. პანდემიის მიუხედავად, 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში არ მცირდება კაპიტალური დანახარჯები. დაგეგმილი გვაქვს 5,9 მილიარდი ლარის ოდენობით, რაც ჯამში მშპ-ს 9,1%-ს შეადგენს“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, დაპირების შესაბამისად, მომავალი წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს საჯარო სექტორში ხელფასების მატებას, დაახლოებით, 10%-ის ოდენობით. მთავრობის მეთაურმა ფინანსთა მინისტრს მიმართა კითხვით, როდის გაიზარდა ბოლოს ხელფასები საჯარო მოხელეებისთვის. მინისტრის განმარტებით, თუ არ ჩავთვლით გარკვეულ მიმართულებებს, როგორიც არის მასწავლებლების ხელფასი, პოლიციის ხელფასი, ასევე ჯარის ანაზღაურება, რომელიც 2019 წელს გაიზარდა, საჯარო სექტორში ხელფასების ზრდა 2017 წლიდან პრაქტიკულად გაყინული იყო.

„როგორც იყო ჩვენი დაპირება — მომავალი წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს საჯარო სექტორში ხელფასების მატებას, დაახლოებით, 10%-ის ოდენობით. ეს არ იქნება ერთჯერადი ცვლილება, ეს მომდევნო წლებშიც გაიზრდება“.

ამასთან, 2022 წლის იანვრიდან 70 წლამდე პირთა პენსია 260 ლარი, 70 წლის და მეტი ასაკის პირთათვის კი 300 ლარი იქნება. მაღალმთიან დასახლებებში პენსიის მოცულობა 70 წლამდე ასაკის პირთათვის შეადგენს 312 ლარს, ხოლო 70 წლის და მეტი ასაკის პირთათვის — 360 ლარი იქნება...

ომში მონაწილე ვეტერანთა ყოველთვიური 22 და 44-ლარიანი დახმარება 100 ლარამდე იზრდება.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, 2022 წლის ბიუჯეტში დევნილებისთვის საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად 114 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

„კოვიდ-19-ის მართვასთან დაკავშირებით ბიუჯეტი 2022 წელს განსაზღვრულია 500 მილიონი ლარით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისთვის კი დამატებით 300 მილიონი ლარი გამოიყოფა“, — აღნიშნა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა დეტალურად ისაუბრა 2022 წელს სამინისტროების დაფინანსებაზე.

„ფინანსთა სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 105 404 800 ლარს და გაზრდილია დაახლოებით 16 000 000 ლარით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 932 000 000 ლარს, გაზრდილია 290 000 000 ლარით. აქედან დაახლოებით 300 მილიონი ლარი მიემართება პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ პროექტებისთვის.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 2,8 მილიარდ ლარს. ბიუჯეტი გაზრდილია 430 000 000 მილიონზე მეტი ლარით.

იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტი შეადგენს 310 568 400 ლარს, გაზრდილია 14 000 000 ლარით. საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 176 000 000 ლარს, თითქმის 6 000 000 ლარამდე გავზარდეთ.

თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს მილიარდ ლარს და გაზრდილია 72 000 000 ლარით!

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 865 000 000 ლარს, გაზრდილი გვაქვს 85 000 000 ლარით.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 6 მილიარდ ლარზე მეტს.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ბიუჯეტი შეადგენს 3 000 000-ს, გაზრდილია ნახევარი მილიონი ლარით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 593 000 000 ლარს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 1 684 000 000 ლარს. კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 357 000 000 ლარს.

მთავრობის მეთაურმა მთავრობის სხდომაზე ასევე აღნიშნა, რომ ონლაინ-კაზინოებთან დაკავშირებული კანონპროექტის ინიცირება პარლამენტში ამ კვირაში მოხდება, რათა შესაბამისი ცვლილებები სწრაფად განხორციელდეს და ამ თემაზე კონსულტაციები საკანონმდებლო ორგანოსთან უკვე გაიმართა.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური

კახა კალაძე: ჩემი დაპირებაა, რომ არცერთი თბილისელი ოჯახი არ დარჩეს უსახლკაროდ

დედაქალაქის მერის კახა კალაძის განცხადებით, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთი პრიორიტეტი ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლების პროგრამის განხორციელება იქნება.

როგორც მან დედაქალაქის საკრებულოში სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, შენობები თანამედროვე და უსაფრთხო ნაგებობებით ჩანაცვლდება.

„ჩვენ დაგეგმილი გვაქვს, რომ 2022 წლიდან ქალაქის მასშტაბით არსებული საბჭოთა დროინდელი ავარიული შენობების ჩანაცვლება-განახლება თანამედროვე, უსაფრთხო და ქართული არქიტექტურული შენობებით მოხდეს. კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობ, რომ ეს არ ეხება თბილისის ისტორიულ არეალს. აქ საუბარია ე.წ. ხრუშჩოვკებსა და ავარიულ შენობებზე, რომლებიც უმძიმეს მდგომარეობაშია. სამწუხაროდ, ქალაქში 10 000-მდე ასეთი შენობა-ნაგებობა გვაქვს. მათ სხვადასხვა ავარიულობის კატეგორია აქვს მინიჭებული“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, არცერთი თბილისელი ოჯახი არ დარჩება უსახლკაროდ და ამისთვის მუნიციპალური საბინაო ფონდი უკვე იქმნება.

„ვგგეგმავთ, რომ არც ერთი თბილისელი ოჯახი არ დარჩეს უსახლკაროდ — ეს არის ჩემი დაპირება. ამისთვის ვქმნით მუნიციპალურ საბინაო ფონდს და თბილისელ ოჯახებს, რომლებსაც დაკარგული აქვთ ან არ გააჩნიათ სახლ-კარი, სარგებლობის უფლებით გადაეცემათ საცხოვრისი. დღეს, დაახლოებით, 400-მდე ოჯახი გვყავს, ვისაც უსახლკაროს სტატუსი აქვს. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, რა თქმა უნდა, ისინი მუნიციპალური ბინებით იქნებიან უზრუნველყოფილნი“, — აღნიშნა თბილისის მერმა.

ამასთან, მისივე თქმით, დედაქალაქის მერია ბოლომდე მიიყვანს უკვე დაწყებულ პროგრამას, რომელიც კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული მოქალაქეების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებას ეხება. კახა კალაძის თქმით, მოგვარდება, როგორც დიდი სამშენებლო კომპანიების, ასევე, პატარა სამშენებლო კომპანიების მიერ დაზარალებულთა პრობლემები.

პარლამენტართა ვიზიტი შეერთებულ შტატებში

საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტად იმყოფება, რომლის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა შეიარაღებული ძალების კომიტეტის თავმჯდომარე, კონგრესმენ ადამ სმიტთან და კონგრესმენ ჯონ გარამენდისთან.

საქართველოს პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, მხარეებმა საქართველოს უსაფრთხოების საკითხებზე ისაუბრეს. ყურადღება გამახვილდა იმ ნაბიჯებზე, რომელიც შესაძლოა შეერთებულმა შტატებმა საქართველოსთვის, თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებში უფრო ქმედითი დახმარების აღმოჩენის მიმართულებით გადადგას.

„შეხვედრებისას საუბარი შეეხო საქართველოს სამეზობლოში, სამხრეთ კავკასიაში, ასევე უკრაინაში არსებულ ძალიან მძიმე ვითარებას. ძირითადი აქცენტები გაკეთდა ქვეყნის უსაფრთხოების და თავდაცვისუნარიანობის ამაღლების საჭიროებაზე. აღინიშნა, რომ აშშ მზად არის საქართველოსთვის დახმარების გასაწევად. შეხვედრებისას, ასევე, მიმოიხილეს სხვადასხვა გზები ამ დახმარების აღმოსაჩენად.



ამერიკელმა კონგრესმენებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამერიკისთვის საქართველო არის ყველაზე ერთგული და სანდო პარტნიორი რეგიონში და შესაბამისად, ამერიკის ინტერესებში შედის ძლიერი საქართველო, რომელსაც შესწევს უნარი, რომ დასავლური ღირებულებები დაიცვას რეგიონში.

„საქართველო შეერთებული შტატების ძლიერი მოკავშირეა, რომელიც დაგვეხმარა ავღანეთში. ჩვენ ერთად ვმუშაობთ რეგიონულ პრობლემებზე. გვსურს ამ პარტნიორობის შენარჩუნება და გაძლიერება. ძალიან გვაღელვებს რეგიონში რუსული აგრესია და გვსურს ვიმუშაოთ საქართველოსთან და სხვა პარტნიორებთან ერთად, რუსეთის შეკავებაზე და რეგიონში მშვიდობის შენარჩუნებაზე“, — განაცხადა კონგრესმენმა ადამ სმიტმა. მისი განცხადებით ყველა ევროპელი მოკავშირე და შეერთებული შტატები უნდა გაერთიანდნენ და ერთად შეეცადონ რუსეთის შეკავებას უკრაინაში, აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში...

შეხვედრებისას მხარეებმა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის თემაზე ისაუბრეს. ხაზი გაესვა წევრობის პროცედურის დაჩქარების აუცილებლობას. ქართულმა მხარემ კონგრესმენებს სთხოვეს, მეტი ძალისხმევა გასწიონ იმისთვის, რომ საქართველო ნატოში მალე გაწევრიანდეს, რაც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის გადადგმული ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება და შეიძლება ითქვა.

მიჰას ფსიქიკური მდგომარეობის აფიშირებით მისი ქვეყნიდან გაყვანის ფონი მზადდება!

ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მკურნალი ექიმის განცხადებით, ამჟამად ექსპრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. როგორც კი შიმშილობის შემდგომი რეაბილიტაციის პროცესი ჩაივლის, ექიმების რეკომენდაციის თანახმად, სააკაშვილი გორის სამხედრო ჰოსპიტლიდან კვლავ რუსთავის მე-18 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაბრუნდება. აღნიშნულის შესაბამისად, ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ ოპოზიციის მხრიდან ამას მოჰყვება საპროტესტო აქციების მორიგი ტალღა.

თუმცა, ანალიტიკურ და პოლიტიკურ წრეებში ასევე აღნიშნავენ, რომ როგორც „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ," ასევე მიხეილ სააკაშვილმა საკუთარი თავი ამოწურა და რესურსი იმისა, რომ საპროტესტო აქციები, რომელიც დიდი მასშტაბის და პერმანენტული იქნება, ოპოზიციას არ გააჩნია. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ნაცმოძრაობას" აქვს შემუშავებული კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომელიც ამ ეტაპზე ცნობილი არ არის. შესაბამისად, ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ განვითარდება მოვლენები და რა მოხდება მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილი რუსთავის ციხეში დაბრუნდება.

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძის** განცხადებით, ერთგვარი კამპანია იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და იგი საზღვარგარეთ გაყვანას საჭიროებს, უკვე დაწყებულია. როგორც მან აღნიშნა, იმ შემთხვევაში, თუკი არ იქნება დასავლეთის მოწოდება, ან უკრაინის მოთხოვნა, ყოფილ პრეზიდენტს, თუნცად მკურნალობის მოტივით, ქვეყნიდან ვერ გაიყვანენ. ექსპერტის შეფასებითვე, „ნაციონალური მოძრაობის" ორგანიზებით საპროტესტო აქციები შესაძლოა, გაგრძელდეს, თუმცა მას ვერ ექნება მასშტაბური და უწყვეტი ხასიათი, რადგან ამის რესურსი ოპიზიციას აღარ გააჩნია.

„მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური პოტენციალი უკვე ამოწურულია. იგი ხელისუფლებისთვის ხიფათს უკვე აღარ წარმოადგენს და ეს ხელისუფლების გადასაწყვეტია, გააგრძელებს კატათაგვობანას თამაშს ისევ თუ, არა. თუკი ხელისუფლება გადაწყვეტს, რომ ეს თამაში გააგრძელოს, მაშინ გაუშვებენ საზღვარგარეთ. საქართველოში მისი შენარჩუნება იქნება ძალიან რთული, არცთუ ისე რეიტინგულის, მაგრამ მაინც, როგორც პოლიტიკური ფიგურის. „ქართული ოცნების" პოლიტიკიდან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, რომ თუ უკრაინიდან იქნება რაღაც მოთხოვნა, ან საზღვარგარეთ მკურნალობის მიზნით, ის მართლაც გაუშვან ქვეყნიდან მკურნალობის მოტივით.

ამით ხელისუფლება „ნაციონალურ მოძრაობას" არ მისცემს საშუალებას გადაჯგუფდეს ან გადანაწილდეს სხვა ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებში. ამაზეა დამოკიდებული სპარინგ მოთამაშედ შეინარჩუნოს სააკაშვილი თუ არა. თუკი ამ გადაწყვეტილებამდე მივლენ, გაუშვებენ. საქართველოში რომ დარჩეს, „ქართულ ოცნებას", უნდა თუ არა, იძულებული იქნება გაამწესოს რუსთავის ციხეში და ამდენ ხანს ციხეში ყოფნა სააკაშვილს, ალბათ, გაუჭირდება", — განაცხადა ვახტანგ ძაბირაძემ.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** თვლის, რომ საპროტესტო აქციებში მონაწილეთა რიცხვი იკლებს. მისი თქმით, რესურსი იმისა, რომ მასშტაბური და პერმანენტული საპროტესტო აქციები გაგრძელდეს, „ნაციონალურ მოძრაობას" არ გააჩნია.

„განვლილმა პერიოდმა გვანახა, რომ ნელ-ნელა მცირდება საპროტესტო აქციის მონაწილეთა რიცხვი. როგორც ჩანს, დიდი ლაშქრის შეკრებისთვის არც ერთი და არც მეორე მოტივი არ კმარა. შესაძლოა, უბრალოდ, მხედართმთავრების მიმართ არ აქვს ამ ხალხს, როგორც ჯარისკაცებს, რწმენა და ამიტომ მათ დაძახილზე ნაკლები ხალისით გამოდიან. თუკი გავითვალისწინებთ აქციების ნაკლებ მხარდაჭერას, აქციების ჩატარებას, ალბათ, არ აქვს აზრი, რადგან ეს მხოლოდ იმის ლუსტრაციას მოახდენს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" მხარდამჭერები იმ რაოდენობის არ ჰყავს, რა რაოდენობაც ჰგონია.

სულ უფრო ვიწროვდება სამომავლო მოქმედების არეალი „ნაციონალური მოძრაობისთვის". შესაძლოა, დიდი და პერმანენტული აქციები დაანონსონ, მაგრამ ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამისთვის საჭირო რაოდენობა არ ეყოლებათ. გეგმა იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობა" უარს იტყვის ქუჩიდან პროტესტზე და საპარლამენტო ფარგლებში გააპროტესტებს მმართველი ძალის კანონებს ან პოლიტიკურ ინიციატივებს, ამას „ნაციონალური მოძრაობის" მხრიდან არ ველოდები", — განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

მიხეილ სააკაშვილის მკურნალი ექიმის **ნინო გოგორიშვილის** თქმით, ყველა მედიკამენტი, რომელიც ინიშნება საქართველოს მესამე პრეზიდენტის მკურნალობა-რეაბილიტაციის პროცესში, გადის ძალიან მაღალ წნეხს, რომ ამ მედიკამენტს არ ჰქონდეს გვერდითი მოვლენა და არ ავნოს ჯანმრთელობას სხვა კუთხით. მისივე ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილმა 2020 წელს გადაიტანა კოვიდი, ჰქონდა ძილის პრობლემები და დაუნიშნეს გარკვეული ფსიქოტროპული პრეპარატები.

ნიკო ჩოხელი

ისტორიის ახალი სახელმძღვანელო — ჭეშმარიტება თუ პროპაგანდა?

ირაკლი კობახიძე: ბიძინა ივანიშვილს სამი მილიარდი საქართველოში ქველმოქმედების სახით აქვს დახარჯული...

პარტია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის ირაკლი კობახიის თქმით, სახელმძღვანელოში საუბარია იმაზე, რომ **„ბიძინა ივანიშვილი არის მეცენატი, ქველმოქმედი, ესეც არის უმარტივესი ფაქტის კონსტატაცია. ბიძინა ივანიშვილს სამი მილიარდი აქვს მარტო ქველმოქმედების სახით დახარჯული საქართველოში და იმ ადამიანებს, რომლებიც სჩადიოდნენ უამრავ დანაშაულს, მათ შორის კორუფციის და ყაჩაღობის კუთხით, ვფიქრობ, 3 მილიარდ დოლარზე უფრო მეტიც აქვთ მთლიანობაში მიტაცებული, როგორც სახელმწიფოსგან, ასევე კონკრეტული ადამიანებისგან. ეს ადამიანები და მათი კუთვნილი ტელევიზიები დღეს აგებენ პროპაგანდას იმ ადამიანის წინააღმდეგ, რომელსაც სამი მილიარდი დოლარი თავის ფული აქვს დახარჯული მარტო ქველმოქმედებაში. ესეც არის მორიგი მცდელობა, რომ სიმართლე თავდაყირა დააყენო, თუმცა საზოგადოება ბუნებრივია, დაინახავს ყველაფერს და ამის მიხედვით გამოიტანს დასკვნებს",** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

კობახიძის თქმით, ბიძინა ივანიშვილის დაკნინების მცდელობის უკან უმარტივესი პოლიტიკური ამოცანებია.

სოზარ სუბარი: ივანიშვილი არის მეცენატი, მას 900-ზე მეტი ეკლესია აქვს გაღარჩენილი და აღდგენილი — ერთი აღამიანი ამაზე დიდ საქმეს ვერც ერთი ქვეყნის ისტორიაში ვერ გააკეთებს

„ისტორიის სახელმძღვანელო ყველაფერს უნდა ასახავდეს — დადებითსაც და უარყოფითსაც. ჩვენ არ გვეცოდინებოდა, სერგო ორჯონიკიძის სახელი, კახაბერ ყორღანაშვილის და სხვა მოღალატეების სახელები, რომ არა, ისტორია. ისტორია მხოლოდ გმირებს არ იცნობს,

იცნობს, მოღალატეებსაც. ამიტომ, ისტორიის სახელმძღვანელოში შეტანილი უნდა იყოს იმ მოღალატეების სახელები, რომელთაც რუსეთს შანსი მისცეს, საქართველოს ტერიტორიების 22 პროცენტის ოკუპაცია მოეხდინა და შემდეგ სტრასბურგში საქართველოს დააბრალეს ოკუპაცია. სტრასბურგში არა მხოლოდ ის დაბრალეს საქართველოს, რომ რუსეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო, არამედ დააბრალეს, რომ საქართველომ საკუთარი მოქალაქეების უფლებები დაარღვია და გამოიყენა აკრძალული იარაღი, მათ შორის კასეტური ბომბი მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ. მიხეილ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა საქართველოს ეს დააბრალეს სტრასბურგის რეზოლუციაში. „ქართული ოცნების", თეა წულუკიანის და მისი გუნდის დაუღალავი შრომა რომ არ ყოფილიყო, სტრასბურგის სასამართლოს ვერ მოვიგებდით, იმდენად მძიმე დოკუმენტი იყო დადებული „ნაციონალური მოძრაობის" მიერ 2008 წელს. ისტორიის სახელმძღვანელოში ეს უნდა შედიოდეს ყორღანაშვილის, ორჯონიკიძის და სხვა მოღალატეების მსგავსად",— განაცხადა სოზარ სუბარმა.

შალვა პაპუაშვილი: სკოლის სახელმძღვანელოში ბელადის დიდება მოინდომეს...

თუ კარგად დავფიქრდებით, ბიოგრაფიებზე და თარიღებზე ატეხილი ეს ისტერია სწორედ რუსული რბილი ძალის დეზინფორმაციით მოქმედების საუკეთესო მაგალითია, — ამის შესახებ პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე წერს.

„ამ საბჭოთა სიმახინჯეზე მიიღებთ პასუხს, თან მწარეს! არ გავჩერდებით, სანამ ეს სიმახინჯე არ გამოსწორდება. სკოლის სახელმძღვანელოში ბელადის დიდება მოინდომეს. ამ ტექსტით დაიწყეს 21-ე საუკუნის ცენზორებმა კიდევ ერთი სიყალბის კამპანია. ქვემოთ, სურათზე, მიხეილ

სააკაშვილის ბიოგრაფიაა იგივე სახელმძღვანელოდან. ისტორიის სახელმძღვანელოზე გაჩაღებულმა ისტერიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ორი რამ: სადაც „ნაციონალური მოძრაობაა", იქ ყოველთვის სიყალბეა. დეზინფორმაციის წინააღმდეგ მებრძოლი არასამთავრობო ორგანიზაციები თითს თითზე არ აკარებენ, როცა დეზინფორმაციის წყარო „ნაციონალური მოძრაობაა"... არადა, თუ კარგად დავფიქრდებით, ბიოგრაფიებზე და თარიღებზე ატეხილი ეს ისტერია სწორედ რუსული რბილი ძალის დეზინფორმაციით მოქმედების საუკეთესო მაგალითია", — წერს პაპუაშვილი სოციალურ ქსელში.

მაინც, რატომ წავაგეთ რუსულ ენერგოგიგანტთან 80-მილიონიანი საარბიტრაჟო დავა?

საქართველომ **რუსულ ენერგოგიგანტ „ინტერ რაოსთან“ საარბიტრაჟო დავა წააგო, რის გამოც ქართულ მხარეს 80,5 მილიონი ამერიკული დოლარის გადახდა დაეკისრა. დავა 2017 წლიდან მიმდინარეობდა. სარჩელი ნიდერლანდებში რეგისტრირებულმა შვილობილმა კომპანია „ინტერ-რაომ“ შეიტანა, რომელიც საქართველოში ორი ჰიდროელექტროსადგურის, „ხრამი-1“-ისა და „ხრამი-2“-ის მფლობელია. ქართულმა მხარემ გადაწვეტილება გაასაჩივრა, თუმცა იურისტების აზრით, ამ საქმის შემობრუნება ძნელზე ძნელია!**

რუსულ კომპანიაში აცხადებენ, რომ საქართველოს მთავრობის არაერთმა გადაწყვეტილებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მათ ინვესტიციებზე. კერძოდ, საუბარია, რომ 2014 წელს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ელექტროენერგიის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიას გადახედა, რაც ტარიფის გაზრდით ლარის გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების გარანტიებს არ იძლეოდა. „ინტერ-რაომ“ საქართველოს ხელისუფლებას ტარიფების გადახედვის თაობაზე 2016 წელს მიმართა, მაგრამ უარი მიიღო.

„ინტერ-რაო“ ამაზე გაჩერებას არ აპირებს და 2022 წლის მარტისთვის კომპენსაციის ოდენობის გადახედვას გეგმავს, რაც, სავარაუდოდ, 100 მილიონ დოლარს გადააჭარბებს.

გადაწყვეტილებაზე პირველი კომენტარი გააკეთა ეკონომიკის მინისტრმა **ნათია თურნავამ,** რომელიც აცხადებს, რომ მომხდარი საქართველოსთვის ენერგოდამოუკიდებლობის მნიშვნელობას და აუცილებლობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

„მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო არბიტრაჟმა ნაწილობრივ გაიზიარა „ინტერ-რაოს“ პოზიციები (ისინი ითხოვდნენ 200 მილიონამდე კომპენსაციას და ამ ეტაპზე, საუბარია მხოლოდ 80 მილიონზე), მაშინაც და დღესაც მიგვაჩნია, რომ აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილებაა, რომ არ გავზარდოთ ტარიფები მომხმარებლისთვის, მათ შორის არც „თელასისთვის“ გადასახდელი ტარიფი“, — განაცხადა მინისტრმა.

საერთაშორისო არბიტრაჟი არაა ტიპური სასამართლო, ის დავების განმხილველი დამოუკიდებელი სტრუქტურაა, სადაც მიმართვის დროს მხარეები თავიდანვე თანხმდებიან, რომ ისინი დაემორჩილებიან და აღასრულებენ არბიტრაჟის გადაწყვეტილებას. შესაბამისად, არბიტრაჟის გადაწყვეტილებები არ ექვემდებარება იმავე შინაარსით გასაჩივრებას, რასაც მაგალითად, საქალაქო თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ექვემდებარებიან.

იურიდიული ფირმა „ბიელსის“ პარტნიორი **ქეთევან ქვარცხავა** ამბობს, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილების შინაარსობრივი ნაწილი, როგორც წესი, გასაჩივრებას არ ექვემდებარება, თუმცა შესაძლებელია არბიტრაჟის მხრიდან პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით დავის დაწყება.

იურიდიული ფირმა „ჯი-ენდ-თის“ მმართველი პარტნიორი **გიორგი ცერცვაძეც** იმავეს ადასტურებს, რომ დავა შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ პროცედურულ დარღვევას და სასამართლო ვერ შევა შინაარსობრივ განხილვაში საქართველოს 80 მილიონი უნდა დაკისრებოდა „ინტერ რაოს“ სასარგებლოდ, თუ 90 მილიონი.

ბიზნესის სამართლის სპეციალისტი **აკაკი ჩარგეიშვილიც** იზიარებს კოლეგების პოზიციას:

„ეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაა და, სამწუხაროდ, როდესაც ასეთი გადაწყვეტილების მიღება ხდება, სამართლებრივი მექანიზმები წაგებული მხარისთვის არის ძალიან ცოტა. თუკი ქართულმა მხარემ პროცესი წააგო, პირველ რიგში, ძალიან ცუდია. ახლა თუ რამეს შეიძლება მოვეჭიდოთ, ეს შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ პროცედურული ნაწილი.

ვინაიდან ეს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებაა, შეუძლიათ, ეროვნული ბანკის ანგარიშები დააყადაღონ, მათ შორის, საზღვარგარეთ უცხოური ვალუტის ანგარიშები და ამ წესით მოხდეს იძულება და გადაწყვეტილების აღსრულება“, — აღნიშნა ჩარგეიშვილმა.

მიუხედავად ამისა, სტოკჰოლმის არბიტრაჟის გადაწყვეტილება, ქართულმა მხარემ მაინც გაასაჩივრა.

„სტოკჰოლმის არბიტრაჟმა გადაწყვეტილება 2021 წლის 19 აპრილს მიიღო, რომლის მიხედვითაც „ინტერ-რაოს“ ეკუთვნოდა გარკვეული კომპენსაცია. „ინტერ-რაო“ ითხოვდა კომპენსაციას 200 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, რაც საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი არგუმენტებისა და მტკიცებულებების საფუძველზე არ დაკმაყოფილდა და 2021 წლის 23 ნოემბერს კომპენსაციის ოდენობად განისაზღვრა 80.5 მილიონი აშშ დოლარით.

სახელმწიფო ახლაც მიიჩნევს, რომ 2014 წელს ტარიფები სწორად იქნა განსაზღვრული და ამიტომ არბიტრაჟის გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სტოკჰოლმის სასამართლოში, როგორც დაუსაბუთებელი. შესაბამისად, საკითხზე სამართლებრივი დავა გრძელდება და მიუხედავად მისი შედეგისა, ცხადია, ეს გავლენას არ მოახდენს მოსახლეობის ტარიფებზე“, — განაცხადეს იუსტიციის სამინისტროში.

ეკა ბაქრაძე

სამუშაო ადგილები ისევ იკარგება

მიუხედავად **იმისა, რომ ეკონომიკური ზრდის მიხედვით საქართველო ევროპის ლიდერია, ეს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე არ ასახულა. ის კი არადა, ქვეყანაში ჯერაც გრძელდება სამუშაო ადგილების შემცირება და ადამიანები სამსახურს კარგავენ. რთულია ახალგაზრდების მდგომარეობაც. ბევრს უკვე ხელიც კი აქვს ჩაქნეული შესაფერისი სამუშაოს მოძებნაზე.**

სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის ინფორმაციით, შინამეურნეობების 5.8%-ში ერთმა წევრმა მაინც დაკარგა სამსახური დროებით, ან ხანგრძლივი პერიოდით, 2021 წლის ივლისიდან ოქტომბრის პერიოდში. დასახლების ტიპის მიხედვით აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობა შეადგენს 6.7%-ს საქალაქო ტიპის დასახლებებისთვის, ხოლო 4.6%-ს სასოფლო ტიპის დასახლებებისთვის.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2021 წლის ივლისიდან გამოკითხვის მომენტამდე პერიოდში ქვეყანაში შინამეურნეობების 16.1%-ს შეუმცირდა საშუალო თვიური შემოსავალი. ქალაქის ტიპის დასახლებებში აღნიშნული მაჩვენებელი 16.3%-ს, ხოლო სოფლად — 15.9%-ს შეადგენს.

შემოსავლის შემცირების ძირითად მიზეზად სახელდება კორონავირუსი და მასთან დაკავშირებული გარემოებები, როგორიცაა კომპანიის — ბიზნესის მოთხოვნის შემცირება, რომელშიც მუშაობდა შინამეურნეობის წევრი ან ეკუთვნოდა შინამეურნეობის წევრს (44.6%), შინამეურნეობის წევრის ხელფასის შემცირება (9.1%), შინამეურნეობის წევრის სამუშაო საათების შემცირება (6.7%), კომპანიის — ბიზნესის დახურვა, სადაც მუშაობდა ოჯახის წევრი (6.3%).

ზოგადად ქვეყანაში დასაქმების დიდი პრობლემაა, რომელიც განსაკუთრებით ბოლო ორ წელიწადში გამოიკვეთა. პრობლემამ განსაკუთრებით ახალგაზრდებში იჩინა თავი. მათი საკმაოდ დიდი ნაწილი უმუშევარია და თან დაუფარავად აცხადებენ, რომ არც სურთ იყვნენ დასაქმებული.

„ახალგაზრდობის სააგენტომ“ კვლევა ჩაატარა, რომლის ფარგლებშიც 10 მუნიციპალიტეტში (დმანისი, გორი, ქობულეთი, ქუთაისი, მესტია, ონი, ოზურგეთი, სიღნაღი, თიანეთი, ბოლნისი) ახალგაზრდები გამოიკითხნენ. კვლევები ჩატარდა სამ ასაკობრივ კატეგორიაში: 14-17 წწ, 18-25 წწ და 26-29 წწ. კვლევის თანახმად, გამოკითხული სრულწლოვანი ახალგაზრდების 39% ამბობს, რომ დასაქმებულია.

რაც შეეხება ასაკობრივ ჭრილს, 18-დან 26 წლამდე ახალგაზრდების დაახლოებით მეოთხედზე მეტი (28%) ამბობს, რომ დასაქმებულია, ნახევარი (50%) ეძებს სამსახურს, 22% კი არაა დასაქმებული და დასაქმებას არ ცდილობს.

26-დან 30 წლამდე გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (65%) ამბობს, რომ დასაქმებულია, დაახლოებით მესამედი (31%) სამსახურს ეძებს, ხოლო 4% არ არის დასაქმებული, თუმცა სამსახურს არ ეძებს.

სრულწლოვანი რესპონდენტების 36% სახელმწიფო სამსახურშია დასაქმებული, ხოლო 45% — კერძო ორგანიზაციაში.

აკადემიკოსი **ავთო სილაგაძე** იმ მიზეზებზე საუბრობს, რის გამოც ახალგაზრდების ნაწილი დასაქმებულები არ არიან და არც ამის სურვილი აქვთ.

„პირველი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ამ ასაკში, განსაკუთრებით 25-26 წლამდე, ბევრი სწავლობს და სწავლასთან ერთად დასაქმება არ სურს, მაგრამ ეს გადამწყვეტი მიზეზი არ არის. მეორე და ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზია, განსაკუთრებით როდესაც საუბარია 30 წლამდე ახალგაზრდებზე, მათ სამუშაოს მოძებნის სტიმული დაკარგეს, ღირსეული ანაზღაურებით. მესამე შეიძლება იყოს ის, რომ ახალგაზრდებს საზღვარგარეთ მუშაობის სურვილი ჰქონდეთ და არა ქვეყნის შიგნით. შეიძლება სხვა მიზეზებზეც საუბარი, მაგრამ ეს არის ძირითადი ფაქტორები, რის გამოც ახალგაზრდები აღარ ეძებენ სამსახურს.

რა თქმა უნდა, შეიძლება ითქვას, რომ დღეს ფონია ისეთი, ვინც დასაქმებული იყო, ახლა ისიც უმუშევარია კორონავირუსი პანდემიის პირობებში და ამ სიტუაციაში კიდევ უფრო ნაკლები გახდა პერსპექტივა ახალი სამუშაოს მოძებნის“, — განაცხადა ავთო სილაგაძემ.

გამოკითხული სრულწლოვანი ახალგაზრდები, რომლებიც არ მუშაობენ (61%), უმუშევრობის ძირითად მიზეზებად დასაქმების სერვისების არარსებობას (28%), ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის უქონლობას (23%), პროფესიული უნარჩვევების ნაკლებობას (16%) და ისეთი ნაცნობების და ნათესავების არარსებობას ასახელებენ, რომლებიც დასაქმებაში დაეხმარებოდნენ (15%).

ბექა დანელია

ევროკავშირის საბჭოს მხარდაჭერა - ქართულ თავდაცვას

ევროკავშირის **საბჭომ, საქართველოსთვის, ევროპის სამშვიდობო ინსტრუმენტის (EPF) ფარგლებში, ფინანსური დახმარების პაკეტი დაამტკიცა. ევროპის სამშვიდობო ინსტრუმენტის ფარგლებში, საქართველო არალეტალურ სამედიცინო და საინჟინრო აღჭურვილობას, ასევე სამოქალაქო ტიპის მობილურობის საშუალებებს (mobility assets) მიიღებს.**

მხარდაჭერის პაკეტი 12.75 მილიონ ევროს შეადგენს და 36 თვეზეა გათვლილი. პაკეტის მიზანი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება და იმ შესაძლებლობების განვითარებაა, რომლებიც ხელს შეუწყობს ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირთან საქართველოს აქტიურ თანამშრომლობას.

„საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარება გამიზნულია ქვეყნის თავდაცვის ძალების შესაძლებლობის გაძლიერებლად, მათ შორის კრიზისებისა და საგანგებო სიტუაციების დროს სამოქალაქო პირებისათვის დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად. უსაფრთხოების განზომილება ორმხრივი დღის წესრიგის ერთ-ერთი კრიტიკული მიმართულებაა. ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დასტურია იმისა, რომ საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა დინამიკურია“, — აღნიშნულია თავდაცვის უწყების განცხადებაში.

სად არიან მწერლები, მწერლები სად არიან?

ამას წინათ მწერალთა სახლში რუსთაველის საზოგადოებამ მოაწყო **დისკუსია** თემაზე: **„სახელმწიფო ენის პრობლემა ქართულ პოლიტიკაში“**. მომხსენებელი იყო აკადემიკოსი **ავთანდილ არაბული.** ვფიქრობდი, სამწერლობო ენის თაობაზე გამართულ დისკუსიაზე (მწერალთა სახლში!) სიმრავლე იქნებოდა მწერლებისა... დისკუსიას სამი მწერალი ესწრებოდა: ნინო ქუთათელაძე, თამაზ ხმალაძე და დავით შემოქმედელი (ღონისძიების ორგანიზატორი)... და მაშინ ამეკვიატა კითხვა – პერიფრაზი ცნობილი ლექსისა: **„სად არიან მწერლები, მწერლები სად არიან?“**

ქართულ ენას რომ არც დღეს ულხინს დიდად, მოსაგვარებელი პრობლემა რომ მრავლადაა, დისკუსიაზეც წარმოჩნდა...

„სად არიან მწერლები, მწერლები სად არიან?“ რატომ არ იღებენ ხმას, რატომ არიდებენ თავს ამ პრობლემებზე მსჯელობას?..

არა მგონია, ვინმემ მკითხოს, რა შუაშია მწერალიო, მაგრამ მაინც ჩემი გულისტკივილის განსამარტავად ორ კლასიკოსს მოვიშველიებ: **მიხეილ ჯავახიშვილსა** და **კონსტანტინე გამსახურდიას.** თავის დროზე ისინი ედგნენ სათავეში სამწერლობო ენის მოვლა-პატრონობის ეროვნულ საქმეს...

მოგვიწევს თითქმის საუკუნის წინანდელი გაკვეთილების გამეორება... მოვუსმინოთ კლასიკოსებს...

* * *

ᲓᲘᲐᲮ, კᲚᲐᲡᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲐᲓ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲓᲜᲔᲜᲝ... ამონარიდებს მოვიყვან მათი წერილებიდან; კომენტარები, ვფიქრობთ, საჭირო არ იქნება...

მიხეილ ჯავახიშვილი წერდა, „უდიდესი ამოცანაა **ენის დაწმენდა,** და ამ საქმის **პირველი მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყვეს,** ხოლო ამ უკანასკნელს რომ შეეძლოს სხვათა მხილება, **ჯერ თვით უნდა განიკურნოს“**...

ანუ: „ქართველი მწერალი განუწყვეტლივ, დღედაღამ უნდა თავს დასტრიალებდეს **ქართულ სიტყვას,** თორემ უმაგისოდ ვისაც კარგი გამართული ქართული არა აქვს, მითქვამს და ვიმეორებ, გენიოსიც რომ იყოს, მისი გენიალობა განახევრდება“.

რადგანაც: „უკანასკნელ ხანებში ზოგი მწერლის დაუდევარი დამოკიდებულება ქართულს უკარგავს მუდმივობას, მოქნილობას და გამჭვირვალობას, ამის გამო ჩვენი ენის ბუნების ამღვრევა უდიდეს ხიფათს უქადის ჩვენს მწერლობას, ამიტომ ჩვენი მიმართულება **დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს ქართული ენის გადამგვარებელ ძალებს“**;

და, რომ: „უკანასკნელ ხანებში ქართულ მწერლობაში მძლავრად შემოიჭრა ჟარგონი. **ყველა ქართველი მწერალი მოვალეა, მკაცრად შეებრძოლოს ამ სამწუხარო მოვლენას.“**

დედაენის სადარაჯოზე მიხეილ ჯავახიშვილის გვერდით **კონსტანტინე გამსახურდია** იდგა: „ჩვენ – ქართველმა **მწერლებმა** ხმალი უნდა ვიშიშვლოთ **მშობლიური ენის თავანკარობის დასაცავადო!“**, რადგანაც, **„მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოისაო!“**...

ქართული ენის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარების გზებსაც ხედავდა კონსტანტინე გამსახურდია: მწერლებისა და ენათმეცნიერების შეთანხმებული საქმიანობააო საჭირო; აუცილებელია, „მოვიწვიოთ **მწერლებისა და ენათმეცნიერების კონფერენციაო“**.

იდეა ამგვარი კონფერენციის მოწვევისა კ. გამსახურდიამ 1928 წელს გააჟღერა („კომუნისტი“, 1928, 25 მარტი); იქვე ძირითადი პრინციპებიც წარმოადგინა; მოგვიანებით (1929 წელს) საგანგებო წერილიც მიუძღვნა („ქართული მართლწერის კონფერენციისათვის“); მწერლის აზრით, „დიდი დუღილი და ზრდაა ქართულ ენაში; ამ ენერგიულად წინ გაქანებულ ენის სტიქიას ყალიბი უნდაო“ – და სწორედ ეს ყალიბი იქნება „მწერლებისა და ენათმეცნიერების კონფერენციაო“.

იმედი ჰქონდა კოლეგების თანადგომისა... **„კონფერენციაზე დიდი ენერგიის გაღება დასჭირდება ქართულ მწერლობასო“**...

პრობლემის სიმწვავეს, როგორც ვთქვით, მ. ჯავახიშვილიც გრძნობს, მაგრამ მოგვარების სხვა გზებს ხედავს და დავობენ, კამათობენ ამის თაობაზე მწერლები. მ. ჯავახიშვილი: „სადავო ბევრი დაგვიგროვდა. ფორმათა სიმრავლემ ანარქია შემოიტანა. დაირღვა საერთო გრამატიკა – დაიშალა მთლიანი ქართულიც და მისი აღდგენისათვის, ზოგის აზრით, საჭიროა მოწვევა ენის მცოდნეთა კონფერენციისა. **ჩემი რწმენით კონფერენციის მოწვევა ნაადრევიაო“** და განმარტავს, თუ რატომ: „ქართული ენა დუღს; ეს პროცესი უნდა შენელდეს, საერთო ქართული ბუნებრივად ჩამოყალიბდეს, სადავოს უმეტესი ნაწილი თავისთავად გადაწყდეს და კონფერენციის მოწვევასაც მაშინღა ექნება აზრი და გამართლებაო“... ბჭობენ, დავობენ, კამათობენ...

მაგრამ თანხმდებიან, რომ „ქართული მეტყველების ერთნაირი ყალიბის ხუროთმოძღვარი **მწერლებისა და ენათმეცნიერების ერთობა უნდა იყოს“;** იმაზეც მსჯელობდნენ, რა როლი უნდა შეასრულოს მწერალმა ამ საქმეში და რა – ენათმეცნიერმა; როგორ განაწილდება ფუნქციები მწერლებსა და ენათმეცნიერებს შორის; ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პრიორიტეტი მწერალს ეკუთვნის:

„ვერც ერთი გონიერი მწერალი ვერ უარყოფს იმ დიდ როლს, რომელსაც ასრულებენ ამა თუ იმ ენის შესწავლის საქმეში ენათმეცნიერები და გრამატიკოსები, მაგრამ არც ერთ ხალხში, არც ერთ საუკუნეში ენათმეცნიერებს არ შეუქმნიათ ენა“.

და განაგრძობს კ. გამსახურდია: „ჩვენი ენათმეცნიერები ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეჯერდნენ იმ საპატიო როლს, რომელიც მათ მიანიჭა განგებამ. ისინი **ენის აგრონომებია და არა ბაღის გამშენებელნი.** ენის განვითარებას მწერალი აძლევს გეზს. მწერალი ქმნის ახალსა და ახალ კომპოზიციებს. დიდი მწერალი რეფორმატორია ნაციონალური ენისა. ენათმეცნიერი სწავლობს და ახარისხებს მწერლის მიერ მოპოვებულ მიღწევებს“...

ასე ფიქრობდნენ ენათმეცნიერებიც... მათ „ბაღის გამშენებლობაზე“ პრეტენზია არასოდეს გამოუთქვამთ... მეტიც, სრულიად გარკვევით, ერთმნიშვნელოვნად გამიჯნავენ მწერლისა და ენათმეცნიერის როლს სალიტერატურო ენის მიმართ.

არნოლდ ჩიქობავა წერს: **„სალიტერატურო ენას მწერალი ქმნის...“** ხოლო „ენათმეცნიერს სწორი დიაგნოზის დასმა ევალებაო“...

ამ თემაზე საუბრის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება... ფაქტია:

ფაქტია, ეს არ იყო ლოზუნგების დონეზე გაცხადებული იდეები მწერლებისა... იმართებოდა დისკუსიები, შეკრებები; საჯარო განხილვები ნაწარმოებებისა, სადაც ენობრივი პრობლემები იყო წინა პლანზე წამოწეული... უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები მწერლებთან მიდიოდნენ და იმათ უთანხმებდნენ ქართულ ენასთან დაკავშირებულ საკითხებს... ასე იყო არცთუ შორეულ წარსულშიც... 1978 წლის 14 აპრილი გახსოვთ? იმჟამად მწერალთა კავშირში ჩატარებული კრება გახსოვთ? ხელნაწერების სახით რომ ვრცელდებოდა ნოდარ წულეისკირისა და აკაკი ბაქრაძის სიტყვები, ესეც გემახსოვრებათ...

დიახ, ეს იყო მე-20 საუკუნეში... იმ საუკუნის გაკვეთილები ამ საუკუნისათვის... დღეს? 21-ე საუკუნეში?...

საუბედუროდ, **არც დღეს ულხინს დიდად ქართულ ენას...** მაგრამ...

„სად არიან მწერლები, მწერლები სად არიან?“

* * *

P.S. ᲪᲝᲢᲐ ᲐᲓᲠᲔ მწერალთა სახლის დარბაზში ილიასა და აკაკის სურათების დაბრუნების საკითხი დავსვი... **განათლების სამინისტროშიც ჩამოხსნეს ილიასა და იაკობის სურათები („საქ. რესპუბლიკა“, №119-120)... მაშინაც ამეკვიატა ეს პერიფრაზი: „ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ, ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ?“... ვერავის მივაწვდინე ხმა...**

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
პროფესორი,
ი. გოგებაშვილის
საზოგადოების
თავმჯდომარე

ფონდმა „ქართუმ“ ხელოვნების ძეგლი უცხოელ კოლექციონერებს არ დაუთმო

„ᲐᲛ ᲑᲣᲚᲘᲜᲒᲘᲗᲐ და ურთიერთზიზღით აღსავსე გარემოში მადლიერება სულ უფრო ძვირფასი და იშვიათი ხდება! მადლობის გადახდა საშიშიც კია დღევანდელ საქართველოში, რადგან დაგესევიან, გაგლანძღავენ, ჭორებს და სიბინძურეს დაგახვევენ, თუმცა საზოგადოება თუ ვართ ამ სიბნელის არ უნდა შეგვეშინდეს.. არ უნდა შეგვეშინდეს, რადგან მადლიერების გრძნობა ღირსეულ ადამიანებს გააჩნიათ! პორტრეტი, რომელსაც ჩვენი ჯგუფის წევრების ცენტრში ხედავთ, ქართლ-კახეთის გამორჩეულ მეფეს თეიმურაზ მეორეს ეკუთვნის, მეფე განმანათლებელსა და მეფე პოეტს, სვეგამწარებულსა და უიღბლოს... მისი პორტრეტი დღეს უკვე რამდენიმე მილიონი დოლარი ღირს, მხატვარი ხომ საიმპერატორო კარის ოსტატი ალექსანდრე ანტროპოვია, ტილოზე კი ხელმწიფეა ასახული... როცა ის ლონდონში აუქციონზე გასაყიდად გამოიტანეს ჩვენთან ერთად ვაჭრობაში ბრიტანეთის პორტრეტების გალერეაც ჩაერთო... იმედი არ მქონდა, რომ ამ ძვირფას ნიმუშს სამშობლოში დავაბრუნებდით. დღეს ეს ტილო ხელოვნების სასახლის მუდმივმოქმედ ექსპოზიციას ამშვენებს, ამშვენებს იმიტომ, რომ ფონდმა „ქართუმ“ და მისმა დამფუძნებელმა ერთი ნაბიჯით უკან არ დაიხია და ხელოვნების უნიკალური ძეგლი უცხოელ ანტიკვარებსა და კოლექციონერებს არ დაუთმო... მადლიერი ვარ და ყოველთვის ასე ვიქნები, რადგან აპოკალიფსის ყველაზე დიდი წყევლა არ მინდა ჩემზე ახდეს „ყურნი გექნებათ, მაგრამ ვერ გაიგონებთ, თვალით შეხედავთ და ვერ დაინახავთ“, – ასე ეხმიანება ხელოვნების სასახლის დირექტორი გიორგი კალანდია ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედებას.

მოსწავლეები აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს იცავენ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, საგანმანათლებლო პროექტ „დიდგორელის“ ორგანიზებითა და არემჯის მხარდაჭერით, ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ მოსწავლეთა კონფერენცია გაიმართა.

მოსწავლეთა კონფერენციაში მონაწილეობა თბილისის, ზუგდიდის, მესტიის, მარნეულის, ახალციხის, გარდაბნის და თეთრიწყაროს სკოლების ოცამდე მოსწავლემ მიიღო. მოსწავლეებმა, პროექტ „დიდგორელის“ ავტორებთან და ისტორიის პედაგოგებთან ერთად 11 სხვადასხვა ძეგლზე მოხსენებები მოამზადეს.

მოსწავლეთა კონფერენცია პროექტ „დიდგორელის“ ახალი კომპონენტია. კონფერენცია მიზნად ისახავს, საქართველოში არსებული უნიკალური და მივიწყებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოსწავლეებისთვის გაცნობას და მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. კონფერენციისთვის, სკოლის მოსწავლეებმა, აფხაზეთში მდებარე ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის, ამბარას სამეკლესიანი ბაზილიკის, ბედიის მონასტრის და სხვა არაერთი მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შესახებ მოამზადეს ნაშრომები.

ისტორიის კონკურსი „დიდგორელი“, „არემჯის“ მხარდაჭერით 2019 წლიდან იმართება და ის კომპანიის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელებული ერთ-ერთი პოპულარული საგანმანათლებლო პროექტია, რომელმაც მთელი ქვემო ქართლის რეგიონი და ათასობით ახალგაზრდა მოსწავლე გააერთიანა. დაარსების დღიდან პროექტ „დიდგორელს“ არაერთი განსხვავებული კომპონენტი დაემატა. წელს მოსწავლეთა კონფერენციის ფარგლებში მომზადებული ნაშრომები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით ერთ წიგნად გამოიცემა, რომელიც საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებსა და სკოლებში, ყველა დაინტერესებულისთვის იქნება ხელმისაწვდომი.

ᲐᲜᲖᲝᲠ ᲗᲝᲗᲐᲫᲔ: ᲜᲣ ᲕᲐᲜᲒᲠᲔᲕᲘᲜᲔᲑᲗ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ!..

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

მაგალითად, იქნებ შევახსენოთ დიანა ტრაპაიძეს „მაესტროზე“ თავისი მოღვაწეობის წლები. მაგრამ „სირცხვილს კუჭით ინელებენ“. ისიც უნდა ვთქვათ, რომ საქართველოში, ალბათ, არსად მოიძებნება ისეთი ძმაცვა (ძველი ქართული სიტყვაა და ვერაგს ნიშნავს) კაცი თავის ბელადთან ერთად, როგორიც მოჟურნალისტო პროკურორი ნიკა გვარამიაა. მათ პერსევერაცია სჭირთ – აკვიატებულად ამოჩემებული ჰყავთ მთლიანად, „ქართული ოცნება“ და მათი ლიდერები და იმდენად წამდაუწუმ ესხმიან მათ, რომ წინასწარ შეთხზული და ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი პასკვილები ლამის თვითონაც მართალი ჰგონიათ.

პერსევერაციას თავის ტვინის ქერქის დაავადება იწვევს და ამიტომაა ჩვენი საქმე კარგად. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ნაციონალების ბელადი არის აბსოლუტური ბოროტება. მას ფსიქოზი სჭირს, რასაც იწვევს თავის ტვინის დაზიანება, ახასიათებს არანორმალურობა და უცნაურობა, არ შეუძლია რეალურად ასახოს მიმდინარე მოვლენები და პროცესები, ფსიქიკურად დაავადებულია, რაც ასევე გამოწვეულია ტვინის ცენტრების, ნერვული სისტემის მოშლილობით. ამის შესახებ ნეტარსახსენებელი თამაზ წივწივაძე არაერთხელ წერდა და შესაბამისი დოკუმენტებიც მოჰქონდა ჯერ კიდევ ბავშვობაში მისი ფსიქიკურად დაავადებისა და მკურნალობის შესახებ.

ასე რომ, იგი არის ჩამოყალიბებული ფსიქოპათი, ფსიქიკურად უწონასწორო ადამიანი, სულიერად მოშლილი. ამასთან, იგი არის მანიაკი, განდიდების მანიით შეპყრობილი, მთელი მისი გრძნობა და გონება მიმართულია განდიდებისაკენ. ამის შესახებ შესანიშნავად ისაუბრა „იმედის“ ტელევიზიაში სააკაშვილის ადმინისტრაციის უფროსმა, ბატონმა პეტრე მამრაძემ. შესაბამისად, სააკაშვილი ჩამოყალიბდა როგორც ლოკალური, ადგილობრივი ფიურერი. მას ვერავინ უწევდა წინააღმდეგობას. როდესაც პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ წინააღმდეგობა გაუწიეს, ორთავე თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ესეც უნდა ითქვას – სააკაშვილი ბუნებით მშიშარა ადამიანია, მაგრამ „ლაჩრები იმავე დროს სასტიკნიც არიან“ (ჯუზეპე გარიბალდი), მით უმეტეს მაშინ, როდესაც შეიარაღებული ადამიანების მთელი არმია იცავთ. მას უამრავი დანაშაული მიუძღვის ქვეყნის წინაშე.

პოლიკარპე კაკაბაძის თქმისა არ იყოს, „არც ერთ ჯოჯოხეთს არ აქვს იმოდენა კარი, თავისი ცოდვებით რომ შეეტიოს“ სააკაშვილი, მაგრამ რას იზამ, ბევრი მისი პრეზიდენტობის დროს ნოხის კოცნით გაბედნიერდა, ბევრს კიდევ ახლაც არ აკლია მისგან წყალობა და მომავალში მეტის იმედი აქვს. ზოგიერთმა, როგორც ჩანს, ამ იმედის გამო ფერი იცვალა. მაგალითად, ცნობილ მომღერალს თამარ ჭოხონელიძეს რა რჯიდა ნაციონალების პანეგირიკობას, როდესაც ახლახან ნაციონალების მიტინგზე მათ ქება-დიდება შეასხა.

ეს ჩვენი მომღერალი კი 2012 წელს არჩევნების წინა დღეებში სიტყვასიტყვით ასე წერდა: **„რად მინდა გზები ან შენობები? დაგრეხილ გზებზე მირჩევნია სიარული, ოღონდ ადამიანად ვიგრძნო თავი. ჩემთვის აღარაფერია ახლა ღირებული, არც გზა, არც შუძი და არც შენობები! ვიცი, „ნაციონალებში“ ჩემნაირად მოაზროვნეზე ამბობენ, ერთი არჩევნები მოგვაგებინა და ნახავთ, თძვენ რას გიზამთო, მაგრამ მე არ მეშინია! ასეთი ცხოვრება და ასეთი სიცოცხლე ასეთ ძვეყანაში აღარ მინდა!“** მეტად საეჭვო ფერისცვალებაა – თითქოს წინასწარ იყო გარიგება დადებული. სამწუხაროდ, ჩვენი შესანიშნავი მომღერალი ნანი ბრეგვაძეც ვერ გარკვეულა ვითარებაში, აგრეთვე ხანდაზმული კომპოზიტორი მაცაცო სეხნიკვერაძე, რომელიც ცრემლებს აფრქვევს სააკაშვილის დაპატიმრების გამო. ეს მით უფრო დამაფიქრებელია, რომ მათ ინტელიგენციის წარმომადგენლებთან უხდებათ ურთიერთობა, რომელთა წრეში უდანაშაულო ადამიანის ღირსების შელახვა, დაპატიმრება და სიცოცხლის წართმევა გაუგონარ, უდიდეს ტრაგედიად ითვლება. ისინი და სხვაც ბევრი თვალებს ხუჭავდნენ, როდესაც სიცრუე ერთგულების გახდა თვისება, როდესაც უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა და ძლიერი დაიმონა კოჭლმა დროებამ, როდესაც უვიცი და რეგვენი ბრძენობდა ადვილად (შექსპირი).

მომღერალი, კომპოზიტორი, მეცნიერი, მწერალი, გლეხი... მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით ფასდება, წინააღმდეგ შემთხვევაში შევარცხვინე მათი ნამღერალიც, დაწერილი მუსიკაც და მოწეული ჭირნახულიც. საბედნიეროდ, უამრავი მომღერალი გვყავს, ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ოპერის თეატრები გადატენილია განსაკუთრებით ქართველი მომღერალი ქალებით, რომლებიც კარგად არჩევენ შავსა და თეთრს, კერძოდ, ოპერის მომღერალი ქალის თამარ იბერის მოღვაწეობაც ამის თვალსაჩინო მაგალითია. რაც შეეხება თავგზააბნეულ მსოფლიო ბანს, პაატა ბურჭულაძეს, მის შესახებ იმდენი დაიწერა, რომ მისი ხსენებაც აღარ ღირს.

ახლა ბევრს უჭირს გაერკვეს, თუ მოსახლეობის ნაწილი რატომ უჯერებს ნაციონალებს და მათ ბელადს, მით უმეტეს, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის პირობებში, როდესაც მარტო წელს, უკვე შეიძლება ითქვას, მხოლოდ კორონავირუსით 10 ათასზე ბევრად მეტი კაცი გარდაიცვალა. ჯერ ერთი, არიან ადამიანები, რომლებიც სრულ ჭეშმარიტებად მიიჩნევენ სააკაშვილის სიტყვებს. სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს გურიაში წყალდიდობა მოხდა და პრეზიდენტი ჩავიდა. ერთმა ქალბატონმა დაუჯერებელი სიტყვები წარმოთქვა ტელევიზიაში, რომელიც, ალბათ, ბევრმა მოისმინა: **„კიდევ კარგი, წყალდიდობა მოხდა და მიშა ვნახეო“**. ამასთან, არიან აკაკი წერეთლის კუდქიცინა მურიას მსგავსი ადამიანები, რომლებიც გულუხვად ფინანსდებიან საქართველოში ყველაზე მდიდარი კაცის – სააკაშვილის ქისიდან. სამწუხაროდ, ამ ანკესზე არა მარტო ღარიბი მოსახლეობის ნაწილი წამოეგო, არამედ ისინიც, რომელთაც მეტისმეტად გამდიდრების სურვილი არ ასვენებთ. სხვაგვარად გაუგებარია გავრილოვის ღამეს აქციის მონაწილეთა გააფთრებული შეტევა პოლიციელებზე. ჩვენი ქვეყანა ჯერჯერობით ღარიბია, სიღარიბე კი, ვაჟა-ფშაველას თქმით, **„განსორციელებული უძლურობაა, გოდებაა, მომასწავებელი ყოველგვარი უბედურებისა, მონობისა, გინა ავაზაკობისა და სხვა გვარის ბეჩაობისა“**.

სამწუხაროდ, არიან ისეთებიც, რომლებსაც ტვინში აქვთ ჩაკირული სააკაშვილისადმი უსიტყვო მორჩილება. გია ბარამიძე, ჩვენი დროის ტიტე ნატუტარი, თავის ყვარყვარეს ვერა და ვერ ელევა და სულ ახლახან ბოლშევიკური შემართებით დაგვმოძღვრა: **„ჩვენ წინ მიგვიძღვის ჩვენი სულიერი და პოლიტიკური ლიდერი, ბუმბერაზი კაცი, სააკაშვილი, რომელიც მეუფე ნიკოლოზმა დავით აღმაშენებელს შეადარა, სავსებით საფუძვლიანად“**.

არ არის ეს კაცი ავადმყოფი? მაგრამ რას უზამ, უსაშველო ჭირს. მას დიდი-დიდი სვანური შელოცვა თუ უშველის.

ახალგაზრდების ნაწილი, რომელმაც არ იცის, რა მოხდა გუშინ – 2007 წლის 7 ნოემბერს, 2011 წლის 26 მაისს და საერთოდ რა ცოდვა-მადლი ტრიალებდა იმ წლებში, აყოლილია ფეხის ხმას. დიდი რომაელი ისტორიკოსი, მწერალი და ორატორი ციცერონი აღნიშნავდა: თუ არ იცი, რა მოხდა შენს დაბადებამდე, მარადიულ ბავშვად რჩები. ნაციონალების ბატონობის წლებში განათლების სისტემა ისე მოიშალა, რომ სრულყოფილი განათლების მიღებას ვინღა ჩივის, როდესაც ქართულ სულიერებას დაცილებული, სამშობლოს ცნებაში, სამშობლოს ჭირ-ვარამში გაურკვეველი თაობა, მარადიული ბავშვები მოგვიმრავლდა.

* * *

2021 წლის 2 დეკემბერს სააკაშვილის მეორე სასამართლო პროცესი შედგა, რომელიც შეეხებოდა სააკაშვილის მიერ საბიუჯეტო ფინანსების გაფლანგვას. მან საქმის არსზე საუბრის ნაცვლად, ფაქტობრივად, მიტინგი მოაწყო, რისი საშუალებაც მოსამართლემ მისცა და ჩვეულებრივ სიყალბისა და სიცრუის კორიანტელი დაყენა. მისი მიმართვა საზოგადოებისადმი მთლიანად ტყუილით იყო გაჯერებული და პოლიტიკურ ტრიბუნად გამოიყენა სასამართლო. მოკლედ, თავის ამპლუაში გრძნობდა თავს. როგორც წინა სასამართლო პროცესზე აღნიშნა, თურმე მისი მოხრჩობა სურდათ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩავარდნიათ, ამჯერად კი გონების დაკარგვის შემდეგ მისი მოკვლის ბრძანება ყოფილა გაცემული. როგორც განაცხადა, სიცოცხლის ორი-სამი დღე მქონდა დარჩენილი და ადგილზე როცა მოვიკითხე, არც ბადრაგი იყო და არც ექიმი. ეს იყო წამება, რომელიც პუტინის მიერ არის დაკვეთილი და ვარ პირადად ივანიშვილის მსხვერპლიო. ამ დროს ბადრაგიც ყოველთვის ადგილზეა და ექიმების მთელი არმია ახვევია თავს, რაც ნაციონალებმაც კი შესანიშნავად იციან.

ამ ცუღლუტს რუსეთისა და პუტინის ხსენება მომგებიანად მიაჩნია, მაგრამ ასეთი ტრიუკები უკვე ყავლგასულია. პუტინს მეტი საქმე არ აქვს, სააკაშვილის წამება შეუკვეთოს და ამაზე იზრუნოს. განდიდების მანიით შეპყრობილმა ამ სასამართლო პროცესზეც თავის ქება დაიწყო და გაიმეორა, რომ იგი საქართველოს სახელმწიფოს შემქმნელია, „ამ სახელმწიფოს დამფუძნებელი“. ამ ფსიქოპათს ისევ ხელისუფლებაში პირველ კაცად მოსვლის სურვილი ამოძრავებს, თუმცა ადრე გატრუნული იყო: ქართულ პოლიტიკურ რეალობაში არც ერთი თანამდებობის დაკავება არ მსურსო. ახლა კი სულიერმა აშლილობამ მოუარა და აცხადებს: მე ვარ პოლიტიკური ლიდერი საქართველოშიო. საწყალი ნიკანორ მელია ერთ წუთში ჩამოალაბორანტა.

პრეზიდენტყოფილმა ბევრი იბოდიალა სასამართლო პროცესზე და საკუთარი თავის შეუცნობელმა განდიდების მოყვარულმა მანიაკმა კმაყოფილებით აღნიშნა: **„მე ჰოლანდიელ პროკურორებს 2018 წელს კორუფციაზე წავუკითხე ლექცია და ეს არ ასვენებს ივანიშვილსო“**. ჯერ ერთი, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, არა მგონია, მისი ლექციების ჩატარების გრაფიკი აინტერესებდეს, მეორეც, საინტერესოა, ლექციაზე რაიმე თქვა თუ არა ელიტარულ კორუფციაზე, რაც მისი პრეზიდენტობის წლებში ყვაოდა, ან საერთოდ ჩაატარა თუ არა ლექცია, თუ უბრალოდ საუბარი ჰქონდა ამ საკითხზე.

სააკაშვილის ერთსაათიან აბდაუბდა საუბარს რომ პასუხი გაეცეს, ამას რამდენიმე გაზეთის ფორმატი მაინც უნდა. ამიტომ ამჯერად მხოლოდ სამ საკითხს შეეხებით, რაც მის სრულ უცოდინარობას ავლენს და ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული. მან აღნიშნა, რომ საქართველოს აქვს დიდი შესაძლებლობებიო და თუ ჩვენ მოვალთ: **1. თითძმის ყველა ქართველი იძნება მილიონერი; 2. ჩვენ აუცილებლად ავაშენებთ დიდ ძალაძ ლაზიკას და 3. როდესაც ვთძვი, საძართველოში ხუთი მილიონი ტურისტი ჩამოვიდოდა, მაყვედრიდნენ, არ სჯეროდათ და მეტიც ჩამოვიდაო.**

1. რადგანაც ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია, ასეთი გაანგარიშებაც გავაკეთოთ: საქართველოში ამჟამად ცხოვრობს 3 მილიონ 730 ათასი კაცი. ეს რიცხვი რომ ერთ მილიონზე გავამრავლოთ, იქნება 3 ტრილიონ 730 მილიარდი. ყოველგვარი კომენტარის გარეშე ცხადია, რომ სააკაშვილის ეს მოსაზრება ბლეფია;

2. დიდი, ხალხმრავალი ქალაქ ლაზიკას აშენება თითქმის ჩვენი ქვეყნის დაღუპვის ტოლფასი იქნება და აი რატომ: უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ქართველი სპეციალისტების მოსაზრებით, ანაკლიასა და ყულევს შორის დაჭაობებული ნიადაგებია და იმ ადგილებში ქალაქის აშენება დაუშვებელია. მეორეც, ჯერ კიდევ 2012 წლის 31 მარტს „რუსთავი 2“-ის გადაცემაში დიდი ადგილი დაეთმო ლაზიკის აშენების პრობლემას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მაშინდელმა მინისტრმა ვერონიკა ქობალიამ, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გიორგი ვაშაძემ, „თავისუფლების ინსტიტუტის“ დამფუძნებელმა კახა ბენდუქიძემ და ეკონომისტმა ემზარ ჯგერენაიამ. მათ აღნიშნეს, რომ ლაზიკის მშენებლობა დიდ ინტერესს იწვევდა და იგი იქნებოდა მთელი რეგიონის ფინანსური ცენტრი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ლაზიკა იქნებოდა თბილისისხელა ქალაქი. თუ მხედველობაში მივიღებთ ქვეყნის შედარებით დიდი და მცირერიცხოვანი ქალაქების მოსახლეობის რაოდენობას, მაშინ ქვეყნის ქალაქების მოსახლეობის რიცხვი 3 მილიონ 500 ათასი იქნებოდა, თითქმის იმდენივე, რამდენი კაციც ცხოვრობდა მთლიანად ქვეყანაში. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მთელ მოსახლეობას, სოფლის მოსახლეობის ჩათვლით, ქალაქად უნდა ეცხოვრა და ქართული სოფელი მომკვდარიყო. ან როგორ უნდა შეევსოთ თბილისისხელა ქალაქი მოსახლეობით? კახელი, ქართლელი, იმერელი ან თვით მეგრელი თავისი მამაპაპისეული ადგილიდან აიყრებოდა და ლაზიკაში გადასახლდებოდა? ქართველი დემოგრაფებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გაანგარიშებით, 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა ისედაც მნიშვნელოვნად შემცირდება. მარტო მოსახლეობის უკანასკნელი ორი აღწერის პერიოდში (2002-2014 წლებში) საქართველოს მოსახლეობა 657 ათასი კაცით შემცირდა, მათ შორის: იმერეთში 166 ათასით (2014 წელს იმერეთში ცხოვრობდა 534 ათასი კაცი); სამეგრელო-ზემო სვანეთში – 135 ათასით (2014 წელს ცხოვრობდა 331 ათასი კაცი); კახეთში 89 ათასით (2014 წელს ცხოვრობდა 319 ათასი კაცი) და ა.შ. ასე რომ, ლაზიკაში ქართველი მოსახლეობის დასახლება, თუნდაც მცირე რაოდენობით, თითქმის გამორიცხულია.

სატელევიზიო გადაცემაში ჟურნალისტის შეკითხვას – „ვინ იცხოვრებს ლაზიკაში და რა დარგში უნდა იმუშაონ ჩამოსულებმა“, კახა ბენდუქიძემ მოხერხებულად აუარა გვერდი: **„ამის გრძელვადიანი პროგნოზირება საერთოდ შეუძლებელიაო“**. თუკი არ ვიცით, ვინ იცხოვრებს და რა დარგები უნდა განვითარდეს ქვეყანაში მშენებარე მეორე დიდ ქალაქში, რომელიც პერსპექტივაში, როგორც გადაცემაში მრავალგზის აღნიშნეს, თბილისისხელა უნდა გახდეს, მაშინ ასეთი ქალაქის მშენებლობაც უაზრობაა. გარდა ამისა, რეგიონში ლაზიკას ფინანსურ ცენტრად გადაქცევა არც ისე იოლი საქმეა, როგორც ეს სააკაშვილს ეჩვენებოდა. მას რომ დასცლოდა, ჯიუტად ააშენებდა თბილისისხელა ლაზიკას და ქალაქის ფუნქციონირების ერთადერთი გზა დაგვრჩებოდა – საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად ასეულათასობით უცხოელის შემოყვანა და ქალაქებსა და სოფლებში მათი დასახლება. ეს პროცესი კი ისედაც ინტენსიურად მიმდინარეობდა. თუმცა, გარკვეულწილად ახლაც გრძელდება. ასეთ შემთხვევაში ვერ ავცდებოდით ქართული ცხოვრების წესის მთლიანად მოშლას, ქართული ცნობიერების მთლიანად დანგრევას, მთელი ჩვენი მდიდარი ისტორიული წარსულის დავიწყებას და, რაც ასევე მეტად მნიშვნელოვანია, საქართველოს ეთნიკური შემადგენლობის ბალანსის მთლიანად შეცვლას. ჩვენს გენოფონდსა და მენტალიტეტს ისედაც დიდი საფრთხე ემუქრება – ეს უფრო ფართო მსჯელობის საგანია.

3. ახლა რაც შეეხება საქართველოში ხუთი მილიონი ტურისტის ჩამოსვლას. ტურიზმის განვითარებას საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში მიაქციეს. მნიშვნელოვნად გაიზარდა ტურისტების რაოდენობა. **„ტურიზმის ინდუსტრიის გაადგილების ფონდის მოცულობის თვალსაზრისით საქართველო სამჯერ აღემატებოდა აზერბაიჯანსა და სომხეთს ერთად აღებულს“** (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1981, გვ. 173). რაც შეეხება ახლახან სააკაშვილის ნათქვამს საქართველოში ხუთი მილიონი ტურისტის შესახებ, როგორც ჩანს, ნაპრეზიდენტალს სკლეროზი ნაადრევად ეწყება – მან ადრე გარკვევით აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო მხოლოდ სვანეთს მიეღო ხუთი მილიონი ტურისტი და არა მთლიანად საქართველოს, რაც სავსებით, შეუძლებელია, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ცხრა ათას კაცს უდრის და აქედან ნახევარი მოზარდია და შრომისუნარიან ასაკს გადაცილებული. გარდა ამისა, მოსახლეობის არც თუ მცირე ნაწილი დასაქმებულია ადმინისტრაციულ, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა სექტორებში. ასე რომ, ორი ათასი კაციც თუ გამოინახებოდა ტურისტულ სექტორში დასასაქმებლად. ამ რაოდენობის შრომითი რესურსით კი ყოვლად შეუძლებელია ხუთი მილიონი ტურისტის მომსახურება. გარდა ამისა, ხუთი მილიონი ტურისტის კვებისა და ტრანსპორტირების საკითხი არც ისე ადვილად მოსაგვარებელია, როგორც ერთი შეხედვით მიაჩნდა პრეზიდენტყოფილს, რომელიც ჰაიჰარად, ნაჩქარევად და მოუფიქრებლად წყვეტდა საკმაოდ მნიშვნელოვან სახელმწიფო საკითხებსაც კი. ასეთი კაცი ჩემულობს, ქვეყანას ავაშენებო.

უფრო მეტიც, პრეზიდენტი სააკაშვილი მოსახლეობას ტყუილებისა და სიცრუის, დაპირებების პირობებში აცხოვრებდა. მოსახლეობის გულის მოსაგებად ენაზე მომდგარ ისეთ ტყუილს დააბერტყებდა, რომელსაც რეალობასთან საერთო არაფერი ჰქონდა. მაგალითად, 2012 წლის იანვარში ტელევიზიით გამოსვლისას აღნიშნა, რომ ბათუმში ორ-სამ წელიწადში 300 ათასი კაცი იცხოვრებდა. ამ დროს 2012 წელს ბათუმში 125 ათასი კაცი ცხოვრობდა, ხოლო მთელ აჭარაში – 393 ათასი. ისე გამოდის, რომ მთელი აჭარის მოსახლეობას ბათუმში უნდა ეცხოვრა, ან თურქებისათვის უნდა გაეხსნა გზა ბათუმში საცხოვრებლად. 2011 წელს კიდევ, ქუთაისში გამოსვლისას აღნიშნა, რომ ამ ქალაქის მოსახლეობა 500 ათასამდე გაიზრდებაო. იმ დროს ქუთაისში 194 ათასი კაცი ცხოვრობდა. თუ ვინმე ნაციონალს (განსაკუთრებით კი გია ბარამიძეს) ამ მონაცემებში ეჭვი ეპარება, პრეზიდენტის გამოსვლები, ალბათ, შენახული იქნება და თარიღები კი მითითებული მაქვს. შეიძლება კიდევ მრავალთაგან პიარების ოსტატის ასეთი მაგალითიც მოვიყვანოთ. ლაგოდეხში თუ ყვარელში ყოფნისას სამშობიარო სახლში ერთ დღეში ნამშობიარებ 24 დედასთან საერთო სურათი გადაიღო, იმის დასტურად, რომ შობადობა იზრდებოდა. ეს კი ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგან, თუ ერთ დღეში 24 ბავშვი დაიბადა, წელიწადში 9 ათასი ბავშვი უნდა დაბადებულიყო. რეალურად ლაგოდეხში იმ წლებში საშუალოდ წელიწადში 700 ბავშვამდე, ხოლო ყვარელში 400 ბავშვამდე იბადებოდა. ასე რომ, რაც არ უნდა შემთხვევითობას ჰქონოდა ადგილი, ერთ დღეში 24 ბავშვი ვერ დაიბადებოდა. ამ შემთხვევაშიც, თუ ვინმეს რაიმე ეეჭვება, შემიძლია იმ გაზეთის ნომერიც დავუსახელო, სადაც ზემოხსენებული სურათი დაიბეჭდა.

საბოლოოდ მინდა აღვნიშნო, რომ ამდენი შერეკილი, შიფერდაცურებული ნაციონალის ხელში, კიდევ კარგად ვართ. უნდა გავიმეორო ერთი ჩვენი ემიგრანტის დაწერილი: **საქართველო მე მაგონებს დიდ თეატრს, რომლის სცენაზე შერეკილი რეჟისორები საქართველოს ტრაგედიას დგამენ.**

ᲕᲘᲡ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲗᲔᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲗᲐᲜᲐ!

ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲖᲔ!
ᲜᲣᲣᲣ, ᲡᲣᲞᲔᲠ!
ᲤᲘᲜᲐᲚᲛᲐ ᲓᲐᲐᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲐ...

„მორკინალის დედოფალს“, ამ ისედაც შლეგ მდედრს, თაკოდ სახელდეყულს, კიდევ უფრო გაგიჟება უნდოდა?!

აბსოლუტურად უზრდელი!

აბსოლუტურად უკულტურო!

პარლამენტი დეზერტირების ბაზრად გადააქცია მთაწმინდელის ქალიშვილმა!

არადა, რა დიდებული ქალბატონის ნაშობია... ინტელიგენტის, სუპერლიტერატორის!

რომ იცოდეთ, რა ბაბუა ჰყავდა – ინტელიგენტი, მოღვაწე, მრავალი წლის მანძილზე საქართველოს მინისტრი...

ძმა? უნიჭიერესი და უწესიერესი...

ყოჩაღ, თქვენს მოთმინებას, პარლამენტის სპიკერო. არ ვიცი, როგორ, რა ფორმით მოახერხებდა (ან მოახერხებს) მანდატურის სამსახური, მაგრამ აშარი ქალბატონი დეპუტატი აშკარად იმსახურებდა სასესიო დარბაზიდან გაძევებას, ისევე, როგორც 2012-ში „გამოაპანღურეს“ კულტურის სამინისტროდან

რაც შეეხება წულუკიანს, იგი უწინარესად გამოჩნდა, როგორც... ღირსეული შვილი(!!!). ასევე, კომპეტენციით, ინტელექტით, შეუპოვრობით გამორჩეული, პოლემიკური ტექნოლოგიის მცოდნე, ზომიერი იუმორით დაჯილდოებული, ქვეტექსტებისა და მინიშნებების ხელოვნებას დაუფლებული, „ცივსისხლიანი“ და საკუთარი ემოციების მართვის უნარის მქონე.

და რაც მთავარია, სახელმწიფოდ მოაზროვნე ჩინოსანი.

და ყველაფერი ეს აშკარა გახდა შიზოიდური ისტერიკის ფონზე.

...ბოლო 70-წლის მანძილზე კულტურის მინისტრის პოსტზე მომუშავე ყველა (10-11) მოღვაწეს ვიცნობდი; ყველასთან (სამის გარდა) მქონდა საქმიანი ურთიერთობა; წლების მანძილზე გახლდით სამინისტროს კოლეგიის წევრი; ვიყავი ყველაზე ავტორიტეტული მინისტრების (თ. ბუაჩიძე, დ. ჩხიკვიშვილი, ო. თაქთაქიშვილი, ვ. ასათიანი) თანამოაზრე და მეგობარი; მომიწია ამ სფეროს კურატორობაც.

გარდა ამისა, ვიცი დღევანდელი მინისტრის საქმიანობის შესახებ სხვადასხვა თაობის კულტურის მოღვაწეთა დადებითი აზრი და კეთილგანწყობა.

სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა: ამ მოკლე დროში, ბევრისთვის მოულოდნელად, გამოჩნდა, რომ თეა წულუკიანი, როგორც ეროვნული კულტურის მართვა-განვითარების პროცესის ხელმძღვანელი, დგას სწორ გზაზე და იქნება ერთ-ერთი ს ა უ კ ე თ ე სო მეთაური ყველაზე დიდი და უმნიშვნელოვანესი სამინისტროსი.

ბრავო, ქალბატონო თეა!

სდექ მტკიცედ, შეურყევლად, აკეთე საქმე კომპეტენტურად და შედეგიანად, გულიანად და ადამიანებისადმი სიყვარულით.



ყურადღება არ მიაქციო უსაფუძვლოდ ამბიციურ, შურიან, ბოღმიან, უმადურ, პრიმიტივ ოპონენტებს (სქესის მიუხედავად).

წარმატებები!..

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔ

P.S.

3 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ კულტურის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს შეხვედრა ჰქონდა პარლამენტარებთან. ოპოზიციონერი პარლამენტარები განგებ, წინასწარ-განზრახვით უსვამდნენ მინისტრს ისეთ შეკითხვებს, რომლებიც, მათი აზრით, მინისტრს წყობიდან გამოიყვანდა, მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე იყო. მინისტრი შეკითხვებს უპასუხებდა საქმის ცოდნით, იუმორისა და სატირის თანხლებით. იმავე დღეს ოპოზიციონერებმა ერთი ამბავი ატეხეს – მინისტრი უწმაწური სიტყვებით უპასუხებდა შეკითხვებსო. მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ქალბატონი თეა წულუკიანი ოპოზიციონერებთან კამათის დროს ზღვარს არასოდეს გადასულა და, მით უმეტეს, ბილწსიტყვაობისათვის არასოდეს მიუმართავს. მას აქვს იუმორისა და სატირის გამოყენების შესანიშნავი ნიჭი. სატირა კიდევ სინამდვილის ასახვის, უარყოფითი საზოგადოებრივი მოვლენების დაუზოგავი გაკიცხვის საშუალებაა. ასეა იგი განმარტებული უცხო სიტყვათა ლექსიკონში.

იმავე დღეს „ტვ პირველის“ ღამის ეთერში აკაკანდნენ ჟურნალისტები და ვითომ კულტურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწეები და გამიზნულად დაიწყეს ქალბატონ თეა წულუკიანის საქმიანობის განქიქება, მაგრამ იმასაც კი ვერ ხვდებიან, რომ წულუკიანის მაგივრად საზოგადოების თვალში თვითონვე ხდებიან გაბითურებულები. განსაკუთრებით გაწიწმატებული იყო თაკო ჩარკვიანი, რომლის ტელეეკრანზე გამოჩენა, მართლაც, სახალისო გახდა და რომელიც მანამ არ დამშვიდდება, სანამ კულტურის მინისტრი არ გახდება, ესე იგი, ვერასოდეს დამშვიდდება. გიორგი ვაშაძემ კიდევ დრო იხელთა და წულუკიანი უკულტურობის მინისტრად მოიხსენია. და ამას აკეთებდა კაცი, რომელიც არჩევნების წინ რეკლამაში თავს იწონებდა, როგორც ჩანს, კოტე ყუბანეიშვილის ორსტროფიანი ლექსებით, მაგალითად, **„ᲓᲕᲘᲜᲝᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲐᲕᲡᲐᲮᲣᲠᲘ, ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ“** და სხვ. სხვათაშორის, გიორგი ვაშაძეს იუსტიციის მინისტრის მოადგილედ მუშაობის პერიოდში ოფისის პირველი სართულის კედლები მეორე სართულზე მდებარე თავის კაბინეტამდე მთლიანად მოფენილი ჰქონდა კოტე ყუბანეიშვილის ორსტროფიანი ლექსებით.

Ა. Თ.

ბოლოს და ბოლოს, გერმანიაში მერკელის ხანა დასრულდა. Deutscland-ს ახალი ბუნდესკანცლერი და მთავრობა ეყოლება, რომელიც მზადაა გერმანიას ევროპის ლიდერის პოზიცია დაუბრუნოს. საკმაოდ ხანგრძლივი კრიზისის შემდეგ, სამმა პარტიამ – სოციალ-დემოკრატებმა, მწვანეებმა და ლიბერალებმა კოალიციის შექმნაზე შეთანხმებას მიაღწიეს. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 26 სექტემბერს გერმანიაში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა, რომელსაც მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალყურს, რადგან გერმანიის ლეგენდარულმა კანცლერმა ანგელა მერკელმა პოლიტიკიდან წასვლა გადაწყვიტა. არჩევნების შედეგი არავის არ გაკვირვებია. ევროპაში, უკვე კარგა ხანია, ტრადიციულ პარტიებს უჭირთ მოღვაწეობა. გერმანიაც არ აღმოჩნდა გამონაკლისი. მერკელის პარტია დამარცხდა. გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატებმა, მაგრამ იმდენი ვეღარ მოახერხეს, რომ მხოლოდ თვითონ, სხვა პოლიტიკური ძალებისგან დამოუკიდებლად, ემართათ ქვეყანა. ამიტომ, კოალიციური მთავრობის შეკოწიწება დაიწყეს, და შედეგიც სახეზეა, ანუ, კოალიცია შედგა.

მომავალი ბუნდესკანცლერი, სოციალ-დემოკრატების ლიდერი, ოლაფ შოლცი იქნება. საგარეო საქმეთა სამინისტროს მწვანეების თანათავმჯდომარე ანალენა ბერბოკი ჩაიბარებს. მწვანეების მეორე თანათავმჯდომარე რობერტ ჰაბეკი კლიმატისა და ეკონომიკის სამინისტროს უხელმძღვანელებს, თავისუფალი დემოკრატების ლიდერი კრისტიან ლინდნერი კი, ფინანსთა მინისტრი იქნება. არჩევნებში გამარჯვებული პარტიების მიერ მთავრობის სრული შემადგენლობის წარდგინება უახლოეს მომავალში მოხდება, თუმცა, უკვე ცნობილია, რომ სოციალ-დემოკრატები კანცლერის, შინაგან საქმეთა, თავდაცვის, მშენებლობის, შრომისა და სოციალური პოლიტიკის, ჯანდაცვისა და ეკონომიკური თანამშრომლობის მინისტრების პორტფელებს მიიღებენ. კლიმატისა და ეკონომიკის, საგარეო საქმეთა, გარემოს დაცვის, ოჯახის საქმეთა და სოფლის მეურნეობის მინისტრები მწვანეთა პარტიის წარმომადგენლები იქნებიან. თავისუფალი დემოკრატები კი, ფინანსთა, იუსტიციის, ტრანსპორტისა და განათლების სამინისტროებს ჩაიბარებენ.

გარდა ამისა, მწვანეებმა, ასევე, მოიპოვეს უფლება, გერმანიის სახელით მომდევნო ევროკომისარიც შეარჩიონ. რა არის ახალი მთავრობის მთავარი პრიორიტეტები და რა ცვლილებებს გვპირდება ის საგარეო პოლიტიკაში? ამ კითხვებზე პასუხს არა მხოლოდ გერმანიის მოსახლეობა, არამედ მთელი ევროპა და, ალბათ, მსოფლიოც ელოდება. საერთაშორისო რეიტინგის მიხედვით, გერმანიის ეკონომიკა მეოთხე ადგილზეა. ევროკავშირში კი, დიდი ხანია, ლიდერობს. სამი პარტიისაგან შემდგარმა კოალიციამ ასეთი სახელი დაირქვა: **ალიანსი თავისუფლებისთვის, სამართლიანობისა და მდგრადი განვითარებისთვის. თავის სამომავლო პროგრამას კი, კოალიციამ ასე უწოდა: მეტი პროგრესისკენ სწრაფვა.** საკმარისია, ამ სათაურებს დავაკვირდეთ, რომ ნათლად დავინახოთ ახალი მთავრობის პრიორიტეტები. კლიმატთან დაკავშირებული პრობლემები ახალი კოალიციური შეთანხმების მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელმაც მიზნად 2030 წლამდე ნახშირის მოხმარების შემცირება დაისახა.

გარდა ამისა, ახალი მთავრობა გეგმავს, გერმანიის მიწა-წყლის ორი პროცენტი ქარის ენერგიის გამომუშავებას დაუთმოს და, ზოგადად, მეტი ყურადღებით მოეკიდოს ამ საკითხს. კოალიციას სურს, 2030 წლამდე გერმანიაში მოხმარებული ელექტროენერგიის 80 პროცენტი განახლებადი ენერგიით გამომუშავდებოდეს, და ქვეყანაში 15 მილიონი ელექტრომანქანა იყოს გამოყენებაში. მანამდე კი, ახალი მთავრობის მთავარი პრიორიტეტი ქვეყანაში არსებული პანდემიური ვითარება იქნება. დასავლელი ექსპერტების აზრით, გერმანიის პოლიტიკა რუსეთთან გამკაცრდება და კრემლთან ურთიერთობის გაუმჯობესება ახალი მთავრობის მთავარი პრიორიტეტი აღარ იქნება. ბერლინმა საბოლოოდ თქვა უარი ილუზიაზე, რომ შესაძლებელია რუსეთის დემოკრატიზაცია და მისთვის ევროპული ფასეულობების გაზიარება. ამიერიდან, გერმანიის პოლიტიკა რუსეთის მიმართ უფრო პრაგმატული იქნება, ვიდრე იდეალისტური.

* * *

თურქეთში არის პარტია, რომელიც ცნობილია ასეთი აბრევიატურით – MHP. ესაა თურქეთის ულტრამემარჯვენე ნაციონალური მოძრაობა, იგივე ევრო-სკეპტიკოსების პარტია, რომლის ლიდერმა დევლეთ ბახჩელიმ, ამას წინათ, თურქეთის პრეზიდენტს საჩუქრად გადასცა ე.წ. თურქული სამყაროს რუკა, რომელზეც დატანილია რუსეთის დაახლოებით 20 რეგიონი და ჩინეთის ნაწილი. თურქულ სამყაროში მოხვდა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბ-

რა ხდება გერმანიაში, თურქეთსა და ჩრდილოეთ კორეაში?

ლიკები: ჩეჩნეთი, ინგუშეთი, დაღესტანი, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი და ადიღე, ასევე, კრასნოდარის მხარე, როსტოვის ოლქის ნაწილი, ვოლგისპირეთის, აღმოსავლეთ ციმბირისა და იაკუტიის ტერიტორიები.

რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერმა, თურქოლოგმა დიმიტრი პესკოვმა ამ ამბავზე რუსეთის ტელევიზიით ირონიული კომენტარი გააკეთა: ცუდი არაფერია იმაში, რომ ანკარა თურქთა ერთობის იდეას ელოლიავება. ერთადერთი, რაზეც ვწუხვარ, არის ის, რომ რუკაზე, მიწა-წყალზე სამყაროს ცენტრში, არ ჩანს წითელი ვარსკვლავი. ის ცენტრი არა თურქეთის ტერიტორიაზე, არამედ რუსეთის ფედერაციაში, ალტაიშია, ნებისმიერი თურქისთვის იმ წმინდა ადგილზე, საიდანაც მათი მოდგმა იღებს დასაბამს. თუ მეცნიერთა აზრს გავითვალისწინებთ, პესკოვის ხუმრობა სულაც არ არის აზრს მოკლებული. რუსეთის მიწა-წყალზე მილიონობით თურქულენოვანი ადამიანი ცხოვრობს. მათი ძირძველი მიწა რუსეთია. რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს, გოსდუმის დეპუტატებმა კი, თურქული სამყაროს ერთიანობის იდეა მძაფრად გააკრიტიკეს. ბევრმა მათგანმა თურქეთისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვა ასეთი შეუსაბამო საქციელის გამო. რუსეთი პატივს სცემს თურქულ ინტერესებს და ესმის მისი განცხადებების მო-

ტივაცია. ჩვენ არ ვართ თურქი ხალხების დაახლოების წინააღმდეგი, მაგრამ ამავე დროს მტკიცედ დავიცავთ ჩვენს ეროვნულ ინტერესებს. თურქეთს შეუძლია გამოიყენოს პანთურქული ფაქტორი თავისი პოლიტიკური გავლენის გასაძლიერებლად მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, მაგრამ რუსეთში არა – განაცხადა გოსდუმის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ანდრეი კრასოვმა. თურქეთის ხელისუფლებას განზრახული აქვს აღადგინოს ოსმალეთის იმპერია, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ანკარას სურდეს რუსეთის მიწა-წყალზე ძალისმიერი ანექსია, დასძინა კრასოვმა. რუკის ერდოღანისთვის ჩუქებამდე ორი დღით ადრე, სტამბოლში თურქულენოვანი ქვეყნების მერვე სამიტი გაიმართა, რომელშიც აზერბაიჯანის, თურქმენეთის, თურქეთის, უზბეკეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის ლიდერები მონაწილეობდნენ. სამიტმა მიიღო დეკლარაცია, რომლის თანახმად, თურქულენოვანი ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს, სახელი შეეცვალა და ეწოდა თურქული სახელმწიფოების ორგანიზაცია.

უძველესი ცივილიზაციის აკვანი, თურქესტანის სივრცე, კვლავ გადაიქცევა მთელი კაცობრიობის მიზიდულობისა და განათლების ცენტრად – განაცხადა სამიტზე თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა. დასავლელმა ექსპერტებმა მხარი აუბეს რუსეთის შეშფოთებას საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში თურქეთის გააქტიურების პოტენციურ პრობლემასთან დაკავშირებით. ისინი მიიჩნევენ, რომ რუსეთს ამ ვითარებაში სახუმაროდ სულაც არა აქვს საქმე, რადგან პრეზიდენტ ერდოღანის თურქული სამყაროს იდეა დროთა განმავლობაში ძალიან სერიოზულ დილემას შეუქმნის რუსეთს.

თურქეთის საერთაშორისო პოტენციალის ზრდასთან ერთად, დადგა საკითხი მისი გეოპოლიტიკური გავლენის გაფართოების შესახებაც. მიუხედავად იმისა, რომ მმართველი პარტია ამაზე პირდაპირ არ საუბრობს, პრეზიდენტ ერდოღანის მთელი დღევანდელი საგარეო პოლიტიკა სხვა რამეზე მეტყველებს. ერდოღანი თავის გამოსვლებშიც არ მალავს, რომ მას ოსმალეთის იმპერიის სიდიადის დაბრუნების სურვილი აქვს. ერდოღანს აღარ აკმაყოფილებს თურქეთის რეგიონული ლიდერის როლი. ანკარას მეტი სწყურია – სულ მცირე, ლიდერობა ახლო აღმოსავლეთში. თავისი ლიდერობის ლეგიტიმაციის გასამყარებლად, დღევანდელმა ანკარამ პანთურქიზმის პოლიტიკის გატარება დაიწყო, რაც მას საშუალებას მისცემს კონკურენცია გაუწიოს ცენტრალურ აზიაში ისეთი ძლიერი ქვეყნების გავლენას, როგორიც არის რუსეთი, ჩინეთი, ამერიკა, ევროკავშირის წევრი და არაბული ქვეყნები.

მაგრამ თუ პანთურქიზმის იდეას გავყვებით, მაშინ რუსეთიც უნდა იყოს პანთურქული ორგანიზაციის წევრი. თურქეთს ეს არ აძლევს ხელს, რადგან ამ ორგანიზაციაში ლიდერი მხოლოდ თურქეთი უნდა იყოს.

* * *

მსოფლიოში, კომუნისტური რეჟიმისა და სოციალისტური წყობის რამდენიმე ქვეყანაა შემორჩენილი, მათ შორის, ჩრდილოეთ-კორეა, რომელსაც დღეს ქვეყნის დამაარსებლის, იმ ცნობილი კიმ-ირ-სენის შვილიშვილი, 39 წლის კიმ-ჩენ-ინი მართავს. როგორც ამ ტიპის ქვეყნებს ახასიათებთ, ჩრდილოეთ კორეაშიც პიროვნების აღვირახსნილი კულტი ბატონობს თავისი პომპეზური აღლუმებით, ბელადთა გიგანტური სურათებითა და ქანდაკებებით, გასასროლად მომართული რაკეტებითა და ეგრეთწოდებული აზიური სტალინიზმით, რაც დემოკრატიული ქვეყნებისთვის არა მხოლოდ უცნაური, არამედ შემაშფოთებელიცაა. ჩრდილოეთ კორეას ოჯახური დინასტია მართავს.

რა უცნაურია, რომ კომუნისტები ყველაზე მეტად მემკვიდრეობითობას ებრძოდნენ და კომნუნისტურმა კორეამ სწორედ ეს მემკვიდრეობითობა განამტკიცა სახელწიფოს მართვაში: ჯერ მამა, კიმ-ირ-სენი იყო სათავეში, მერე შვილი კიმ-ჩენ-ირი და ახლა, ამ კომუნისტური დინასტიის მესამე თაობის წარმომადგენელი, კიმ-ჩენ-ინი. როგორც ჩანს, ასე გაგრძელდება კიდევ, მაგრამ არავინ უწყის, რამდენ ხანს. ასეთი რეჟიმები, ბოლოს და ბოლოს, მაინც ემხობიან ხოლმე. ახალგაზრდა დიქტატორს რამდენიმე ოფიციალური ტიტული აქვს: კორეის დემოკრატიული რესპუბლიკის, პარტიისა და ხალხის ლიდერი, გენიოსი გენიოსთა შორის, ახალი საწყისი, ბრილიანტის თანამებრძოლი და ჩრდილოეთ-კორეის მარშალი.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, მაგრამ არიან და ცხოვრობენ, მრავლდებიან, თავწაღუნული შრომობენ და თავსაც რაღაცნაირად ირჩენენ, არც რევოლუციური აზრები აწუხებთ, არც პოლიტიკური მანიფესტაციები და არც მიდრეკილება აქვთ დემოკრატიისკენ. სამაგიეროდ, პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული და რაღაც უხილავის წინაშე კანკალებენ, თან მთელი მსოფლიო ეჭვის თვალითა და შიშით უყურებს. ჩრდილოეთ-კორეაში ყველაფერი არაგამჭვირვალე და საიდუმლოა. თავად კიმ-ჩენ-ინის ბიოგრაფიაც ბურუსითაა მოცული, რომელშიც ტყუილ-მართალის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. დედა ბალერინა ჰყოლია ბელადს, რომელსაც რამდენიმე შვილი გაუზრდია, მაგრამ კიმ-ჩენ-ინი თურმე, ყველაზე მეტად უყვარდა და სწორედ მისი ძალისხმევით მოხვდა კიმ-ჩენ-ინი ქვეყნის ლიდერის პოსტზე. ამბობენ, ბერნში, შვეიცარიის საერთაშორისო სკოლაში სწავლობდაო. სასწავლებელში სხვა სახელი ერქვა თურმე, და მისი ვინაობის შესახებ შვეიცარიაში არაფერი არ ცოდნიათ. ოფიციალური ფხენიანი აცხადებს, რომ ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება და რომ კიმ-ჩენ-ინმა განათლება სახლის პირობებში მიიღო, და არა აქვს ევროპული უმაღლესი განათლების დიპლომიო.

გასულ ოქტომბერს კორეის კომუნისტურმა პარტიამ სახელმწიფო იდეოლოგიად კიმჩენიზმი გამოაცხადა, რაც ჩუჩხეს მოდერნიზებული ვარიანტია. შეგახსენებთ, რომ ჩუჩხე კორეული ტიპის კომუნისტურ იდეოლოგიას ეწოდება. შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ მთლად თავის ჭკუაზე ვერ არიანო, მაგრამ მათ ცხოვრების ასეთი მოდელი აქვთ. კიმ-ჩენ-ინს ჰყავს მეუღლე, რომელზეც 2009 წელს იქორწინა და მისგან ზედიზედ ორი შვილი შეეძინა. ცოლის შესახებ ინ-

ფორმაცია თითქმის არარსებულია. ამბობენ, ისინი ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობენ. ცოლი ქმრის საქმეებში არასოდეს არ ერევა. სამაგიეროდ, კიმ-ჩენ-ინის მარჯვენა ხელია მისი და კიმ-იო-ჩონი, რომელსაც კორეის მთავრობაში მაღალი თანამდებობა უკავია. კორეის ლიდერი მთლიანად ენდობა თავის დას. დასავლეთმა ეს კარგად დაინახა, როცა კიმ-ჩენ-ინი დათბობის პოლიტიკის გატარებას ეცადა სამხრეთ კორეასთან. ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა სამხრეთ კორეის პრეზიდენტთან შეხვედრაზე საკუთარი და გაგზავნა. ტრამპთან შეხვდრისას სინგაპურში, კიმ-ჩენ-ინს დაც გვერდით ედგა. მას დასავლეთში კიმ-ჩენ-ინის მემ-

კვიდრედ განიხილავენ. არ ვიცი, რამდენად უცნაურად მოგეჩვენათ ჩრდილო-კორეელი ლიდერის ცხოვრება და საქმიანობა, მაგრამ ყველაფერი ეს ფაქტია, რომელსაც მსოფლიო იცნობს.

ნუგზარ ბ. რუხაძე,
POSTV



დასავლეთის პუტინის შანტაჟის არ ეშინია!

უკრაინის საზღვრებთან რუსული სამხედრო ძალის განსაკუთრებული მობილიზებისა და რიგაში ნატოს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის ფონზე კრემლის ლიდერმა ჩრდილოატლანტიკური ალიანსისგან აღმოსავლეთით არგაფართოების ამჯერად უკვე იურიდიული გარანტიები მოითხოვა. მეორე დღეს, უკვე ეუთოს მინისტერიალზე იგივე გაიმეორა რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა. მეტიც, ლავროვმა განაცხადა, რომ ბუქარესტის 2008 წლის სამიტის გადაწყვეტილება საქართველოსთან და უკრაინასთან მიმართებაში „ნაღმია ევროპის უსაფრთხოების საძირკველში, რომელიც ერთხელ, 2008 წელს საქართველოში უკვე აფეთქდა“ და რომ ვინც ამ გადაწყვეტილებას იმეორებს, „ცეცხლს ეთამაშება“. საპასუხოდ დასავლეთიდან რუსეთს შეუსრულებელი ვალდებულებები შეახსენეს. თუმცა ჯერ კიდევ პროცესშია მსჯელობა დოკუმენტზე, რომელმაც ნატოს მომავალი 10 წლის სტრატეგია უნდა განსაზღვროს.

აღარავინ დავობს იმაზე, რომ რუსეთმა ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიით შავ ზღვაში სამხედრო ძალთა ბალანსი მნიშვნელოვნად შეცვალა, რაც ნატოს შეშფოთებას იწვევს. ამასთან, ყარაბაღში განვითარებული მოვლენების შემდეგ კიდევ უფრო ძლიერდება კრემლის გავლენა უშუალოდ კავკასიის რეგიონში. ამ ფონზე საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს რეგიონის მიმართ ცივილიზებული სამყაროს ინტერესი და შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში ქვეყნის სრულფასოვანი ჩართულობა, საქართველოს ფუნქციური როლის გამოკვეთა.

არც ისაა საიდუმლო, რომ დასავლეთის ქვეყნებს უჭირთ კონსოლიდაცია რუსეთის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ და არც ნატოს გაფართოებას ხვდებიან დიდი სულისკვეთებით. ამასთან ერთვის პერმანენტული პოლიტიკური კრიზისი, რომელმაც ბოლო ორი წელია, საქართველოში ყველა სხვა აქტუალური თემა თითქოს შთანთქა.

წესით, კრემლმა ალიანსისგან არგაფართოების გარანტიები ოფიციალურად ვერ უნდა მიიღოს, რადგან ეს ერთის მხრივ, ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების ანულირება იქნებოდა, ხოლო მეორეს მხრივ, ალიანსის იმ ფუძემდებლური პრინციპისა, რომ არც ერთ მესამე ქვეყანას არ აქვს ვეტოს უფლება. მაგრამ ზოგიერთები შიშობენ, დასავლეთის არაერთსულოვნების ფაქტორის გათვალისწინებით, დასავლეთმა აგრესიული რუსეთის დასაშოშმინებლად მოსკოვს მსგავსი გარანტიები არაფორმალურად მისცეს.

„სტრატეგიული ანალიზის ცენტრის“ დამფუძნებელი, მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი **თეონა აქუბარდია** დარწმუნებულია, რომ პუტინი მსგავს გარანტიებს ვერ მიიღებს. კრემლის ლიდერის განცხადებები, მისი ხედვით, ნატოს წევრი სახელმწიფოების დაშანტაჟების ფუჭი მცდელობაა, რადგან იმას, რომ ალიანსი მსგავსი შანტაჟის ქვეშ არ ექცევა, ნატოს ღია კარის პოლიტიკა ადასტურებს, თავად ღია კარის პოლიტიკას კი — 2020 წლის გადაწყვეტილება გაფართოების თაობაზე:

„პუტინი არ ითხოვს ფორმალურ გარანტიებს. ის, რომ ნატოს გაფართოება საფრთხის შემცველადაა მიჩნეული, განსაკუთრებით — სამეზობლოში, დიდი ხანია, უწერიათ უსაფრთხოების კონცეფციაში. ისიც ფაქტია, რომ რუსეთი უფრო აგრესიულია. 2008 წლის აგვისტოს ომიც საქართველოს სტრატეგიული დოკუმენტებით მიჩნეულია რუსეთის მცდელობად, ნატოსკენ საქართველოს წინსვლა შეაჩეროს. ეს განცხადებები არის ძალის დემონსტრირება, ნატოზე ზეწოლა, რომ მას ჰქონდეს აღქმა, რამდენად სერიოზული შეიძლება, იყოს რუსეთი. მაგრამ ერთია, რა სურს რუსეთს, მეორე — როგორ რეაგირებს დასავლეთი: ნატოს გენმდივანი და წევრი სახელმწიფოები ამბობენ, რომ ვეტოს შესაძლებლობა არც ერთ მესამე ქვეყანას არ აქვს. ასე რომ, დასავლეთი შანტაჟის ქვეშ არ ექცევა“.

ამასთანავე, აქუბარდიას ხედვით, ერთია გეოპოლიტიკური მოცემულობა, მეორე, რას აკეთებს თავად საქართველო, მაგალითად, იგივე რეფორმების კუთხით, რა მიმართულებითაც თბილისი სულ უფრო მეტ კრიტიკას იღებს და სტრატეგიულ პარტნიორებს ქვეყანაში პოლიტიკური „ხანძრების“ ჩაქრობისთვის უწევთ ძალისხმევის გაწევა:

„ბევრი შესაძლებლობა გავუშვით ხელიდან, რომ წუხილები მოგვეხსნა და გვემუშავა დედაქალაქებში, მათ შორის, ნატოს გაფართოებისადმი სკეპტიკურად განწყობილ ქვეყნებთან, დაგვერწმუნებინა ისინი, რას მისცემდა ნატოს საქართველოს ალიანსში გაწევრიანება. სამწუხაროდ, დღეს მთელი დასავლეთი შეწუხებულია საქართველოში არსებული შიდა პოლიტიკური ვითარებით და ეს არანაირად არ ეხმარება საქართველოს წევრობას. პირიქით, ეს ეხმარება რუსეთს მის არგუმენტებში, შეაჩეროს საქართველოს წინსვლა და შემდეგ ეს დასავლეთის გადაწყვეტილებად შემოგვთავაზოს. ჩვენ უნდა შევასრულოთ საშინაო დავალება და არ დავტოვოთ საფუძველი, თქვან, რომ საქართველო არ არის მზად. მაგრამ ჩვენ, სამწუხაროდ, ამის საწინააღმდეგოდ ვიქცევით“.

* * *

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი **თორნიკე შარაშენიძე** არ გამორიცხავს, რომ პუტინს მართლაც ჰქონდეს იმედი, გრძელვადიან პერსპექტივაში მსგავსი გარანტიები მიიღოს, თუმცა ამჯერად იგი აღნიშნულს ომის დაწყების საბაბად განიხილავს, რომელიც კრემლს, ლოგიკით, ყირიმთან სახმელეთო გზით დასაკავშირებლად სურს:

„იურიდიულ გარანტიებს რომ ვერ და არ მისცემენ, ეს (კრემლმა — რედ.) თავადაც იცის. სხვა თუ არაფერი, ყველა წევრის თანხმობა ამ საკითხს არ ექნება. ამდენად, მგონია, რომ კრემლს სურს, ეს თემა საბაბად გამოიყენოს აგრესიისთვის. სამწუხაროდ, ომის დაწყება უკვე აღარაა გამორიცხული, შემდეგ კი მოსკოვი იტყვის, „ნატომ გარანტიები არ მომცაო“. რეალურად, ყველა ხვდება, რომ რუსეთს ვეტო აქვს და იყენებს კიდეც: ჩვენთან რამდენიმე კილომეტრში რუსული ბაზა რომ დგას, ეს ვეტოა — ესაა ინტეგრაციის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი და არა ის, როგორც ზოგიერთს სურს, წარმოაჩინოს, რომ საქართველოში აღლუმი კარგად არ ჩატარდა“.

შარაშენიძის ხედვით, მდგომარეობას ის გარემოებებიც ართულებს, რომ რუსეთისთვის დაწესებულმა სანქციებმა ვერ იმუშავა და შედეგად კრემლი გათამამდა — ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე ყირიმის ანექსიის შემდეგ იყო; რომ დასავლეთის ქვეყნებს კონსოლიდირება უჭირთ; რომ განსხვავებით 1980-იანი წლებისგან, დასავლეთი ერთი-ერთზე აღარაა რუსეთთან, კერძოდ, მოსკოვი დასავლეთის დაბალანსებას ჩინეთთან ვაჭრობით განიხილავს და განსხვავებით ირანისგან, რომელმაც გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ დაწესებული სანქციების შედეგად მნიშვნელოვნად იზარალა, რუსეთს ორგანიზაციაში ვეტოს უფლება აქვს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ანალიტიკოსს უჭირს იმის პროგნოზირება, რა იქნება კრემლისადმი ეფექტური პასუხი.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მიხეილ მოციქულაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მიხეილ მოციქულაშვილი (პ/ნ 59001012314), თბილისი, ზაქარია ფალიაშვილის ქ. №80ბ, ბინა 12ა

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ხელვაჩაური, სოფელი ხელვაჩაური (საკადასტრო კოდი: 22.26.04.006.01.500).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 76047.76 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 7 დეკემბერი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 21 დეკემბერი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP75857221;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 758572

6. **მოვალე:** მიხეილ მოციქულაშვილი (პ/ნ 59001012314), თბილისი, ზაქარია ფალიაშვილის ქ. №80ბ, ბინა 12ა.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP75857221; ლოტის ნომერი: 758572).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 21 დეკემბრის 10:00 საათამდე.

აშშ ევროპაში სამხედრო წარმომადგენლობას გააძლიერებს

რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში, აშშ მზად არის, აღმოსავლეთ ევროპაში სამხედრო წარმომადგენლობის გაძლიერება განიხილოს. ამის შესახებ თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა.

„თუ პუტინი ნაბიჯს გადადგამს, ჩვენი აღმოსავლეთ ევროპელი მოკავშირეების მხრიდან მეტი ჯარის, შესაძლებლობებისა და წვრთნების მოთხოვნა გაიზრდება და შეერთებული შტატები დადებითად უპასუხებს ამ მოთხოვნას“, — აღნიშნა თეთრი სახლის წარმომადგენელმა. თეთრ სახლში ასევე აცხადებენ, რომ ჯერ არ იციან, მიიღო თუ არა ვლადიმერ პუტინმა უკრაინაში შემდგომი სამხედრო ესკალაციის გადაწყვეტილება, თუმცა იციან, რომ რუსეთის პრეზიდენტი შესაძლებლობას ამზადებს, რათა აღნიშნულ ესკალაციაზე წავიდეს. მანამდე ტელეკომპანია **CNN**-მა ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით ინფორმაცია გაავრცელა, რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრისგან შეკავების მიზნით, აშშ-ის ადმინისტრაცია რუსეთის წინააღმდეგ სანქციების ფართო პაკეტის დაწესებას განიხილავს. კერძოდ, სანქციები პუტინის ახლო გარემოცვას, ენერგომწარმოებლებსა და რუსეთის **SWIFT**-ის სისტემიდან (საერთაშორისო გადახდის სისტემა) გათიშვას შეიძლება შეეხოს.

◉ ფარიკაობა

მუშკეტერთა ფინიში

თბილისის ფარიკაობის დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა მუშკეტერთა 2021 წლის საქართველოს ჩემპიონატი. მოხმალავეთა შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ ქვეყნის ნაკრების წევრები — ლიკა ჯიჯეიშვილი, სანდრო და ბექა ბაზაძეები, რომლებიც საფრანგეთში ეროვნული ნაკრების მწვრთნელ კრისტიან ბაუერთან ემზადებიან მსოფლიოს თასისთვის, რომელსაც 14-16 იანვარს თბილისი უმასპინძლებს.

ნინა ლეჟავა და ლუკა ღალანიძე

მოხმალავეთა საქართველოს ჩემპიონატში ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა 14 წლის **ალექსანდრა კუვაევამ** (თბილისი), რომელმაც ფინალში **თამარ ჩარკვიანს** (ქუთაისი) სძლია. მესამე ადგილებზე **კატო არჩვაძე** (თბილისი) და **მარიამ კაკოიშვილი** (ქუთაისი) გავიდნენ.

ვაჟებში საქართველოს ჩემპიონობა ქვეყნის მოხმალავეთა ნაკრების წევრმა გოგა კაკაურიძემ (თბილისი) მოიპოვა. მან გადამწყვეტ ორთაბრძოლაში თანაგუნდელი **ვახტანგ არჩვაძე** დაამარცხა. ბრინჯაოს მედლები **ნიკოლოზ ჭეიშვილსა** (თბილისი) და **ლაშა კუჭუხიძეს** (აჭარა) ხვდათ.

დაშნით ასპარეზობაში კვარცხლბეკზე ავიდნენ: ქალები. **1. თამილა მურიდოვა** (თბილისი); **2. მარია ზაკირჩენკო** (ქუთაისი); **3. ვალერია დვინინა, ტატიანა სვანიძე** (ორივე — თბილისი); ვაჟები. **1. ლაშა გალუაშვილი; 2. გიორგი დიდია** (ორივე — თბილისი); 3. **თორნიკე ჩხეტიანი, ვლადიმერ ხვედელიძე** (ორივე — ქუთაისი).

რაპირაში ქალთა შორის უძლიერესი იყო 15 წლის **ნინა ლეჟავა** (თბილისი). ფინალში მან დედაქალაქელ მარიამ ტუღუშს მოუგო დრამატული მატჩი: თავიდან 9:14-ს აგებდა. ამ კრიტიკულ სიტუაციაში შეძლო ძალების მობილიზება და 15:14 გაიმარჯვა. ლეჟავა ჩიკაგოში (აშშ) დაიბადა და გაიზარდა. ყოფილი მოფარიკავის — ნიკოლოზ ლეჟავას ქალიშვილია. მშობლები დიდი ხანია, ამერიკაში ცხოვრობენ და მუშაობენ. ნინა წლეულს გაზაფხულზე ჩამოვიდა ბებია-ბაბუას მოსანახულებლად და მერე მშობლებს ამერიკაში აღარ გაჰყვა — თბილისში მოისურვა სწავლის გაგრძელება და ფარიკაობაში ვარჯიში. მისი მიზანია, საერთაშორისო სარბიელზე საქართველოს სახელით იასპარეზოს და ოლიმპიურ თამაშებში ასახელოს სამშობლო.

ვაჟებში 23-წლამდელთა შორის ევროპის პირველობის ბრინჯაოს პრიზიორმა **ლუკა ღალანიძემ** (თბილისი) საქართველოს ჩემპიონობა მეშვიდედ მოიპოვა. ფინალში მან ლაშა გალუაშვილს (თბილისი) დამაჯერებლად მოუგო. მესამე ადგილებზე **ლუკა კეჟერაძე** და **ირაკლი მიქელაძე** (ორივე — აჭარა) გავიდნენ. ქალებში ბრინჯაოს მედლები **მარია ზაკირჩენკოსა** (ქუთაისი) და **მარიამ მჭედლიძეს** (თბილისი) ერგოთ.

ლექსო ცინცაძე

◉ ბატუტი

აზერული „ვერცხლი“

ბაქოში დამთავრდა ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს ჩემპიონატი უფროსებსა და ახალგაზრდებში. შეჯიბრებაში საქართველოდან რვა სპორტსმენი (ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაურ სულაშვილი, მწვრთნელები — როზა ბერიკაშვილი, ირმა სოლოღაშვილი, რევაზ გამხოშვილი, ზურაბ კიკნაველიძე, ინგა მენთეშაშვილი, ლუდმილა გოლოვინა, მსაჯად იყო მიწვეული საერთაშორისო არბიტრი რუსუდან ხოფერია) მონაწილეობდა. ახალგაზრდებს შორის სინქრონულ ხტომებში შესანიშნავად იასპარეზეს ამავე ასაკში შარშანდელმა მსოფლიოს ჩემპიონებმა — მაია ბოჭორიძემ და ანა ლაპიაშვილმა, რომლებიც ამჯერად 45.250 ქულით ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. ჩვენები მხოლოდ რუსებს ჩამორჩნენ.

21-წლამდელებში ანანო აფაქიძემ და მარიამ რაგიმოვმა მე-6 ადგილი დაიკავეს. რაგიმოვი ინდივიდუალურ ხტომებშიც 49.615 ქულით მეექვსე იყო. უმცროს ასაკში მარიამ სულაშვილისა და ნინო ქორიძის ტანდემი 42.030 ქულით მე-8 ადგილზე გავიდა.

უფროსებში ოლიმპიური თამაშების მრავალგზის მონაწილე და მეორე ევროპული თამაშების ვერცხლის პრიზიორი ლუბა გოლოვინა ინდივიდუალურ ხტომებში ფინალს მიღმა აღმოჩნდა.

საქართველოს ბატუტზე მხტომელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაურ სულაშვილმა გვითხრა, რომ ქართველ ბატუტზე მხტომელებს პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა ძალიან შეუშალა ხელი, თორემ შედეგები ბევრად უკეთესი იქნებოდა.

წლევანდელი სეზონი მათ, ფაქტობრივად, დაასრულეს და მალე 2022 წლისთვის დაიწყებენ ინტენსიურ მზადებას. ჩვენი სპორტსმენებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ევროპის ჩემპიონატი, რომელიც მაისის მიწურულს იტალიაში გაიმართება — იქ 2023 წლის კონტინენტის მესამე თამაშების საგზურები გათამაშდება, ამ შეჯიბრებას კი პოლონეთი უმასპინძლებს.

გივი გაგუა

◉ არის, ასრულდა!

ჰაერიდან არ მოსულა...

ბულვარის ბოლოში, სასტუმრო „მედეას“ მიმდებარე ტერიტორიაზე წამოჭიმული ბათუმის სტადიონი გულშემატკივარს ანდამატივით ჯერ კიდევ იმ საბჭოთა დროიდან იზიდავდა, როცა იქაური „დინამოს“ მაისურით ჩელებაძე-გორგილაძის მრისხანე დუეტი თამაშობდა და თვით მაშინდელი პერიოდის მარადიულ მეორელიგელ ფავორიტს — რიგის „დაუგავას“ ამწარებდა, სადაც ბომბარდირი მილევსკი ბრწყინავდა.

დამოუკიდებლობის ეპოქაში უკვე ტიტულებმაც დაამშვენა, რომელიც აწ განსვენებული ჭეშმარიტად დამსახურებული მწვრთნელის **შოთა ჭეიშვილის** სახელს უკავშირდება — საქართველოს თასი და სუპერთასი 1998 წელს. იყო სხვა წარმატებებიც, რომლებიც იმავე სეზონებში გამოიჭედა — ეროვნული ჩემპიონატების „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“, მაგრამ თბილისის „დინამოსთან“ უთანასწორო ბრძოლაში ჩართულ ზღვისპირელთათვის მწვერვალი დაულაშქრავი რჩებოდა.

აჭარულ ფეხბურთზე საუბრისას გამორჩეული მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ მართლაც კოლორიტული ფიგურა **ვალერიან ჩხარტიშვილი,** რომელიც ჯერ როგორც ფეხბურთელის, ხოლო შემდეგ მწვრთნელის ამპლუაში ქომაგთა კერპი გახლდათ და პოპულარულ ევროტურნირებში რეგიონის დესპანი გუნდის გადადგმული პირველი ღირსეული ნაბიჯები სახელოვანი „სელტიკისა“ და „ეინდჰოვენის“ წინააღმდეგ

მის ნამოღვაწარს შარავანდედად ადგას.

მეკარეები — ბალაძე და ტოგონიძე, **მცველები** — მახარაძე, შეყილაძე, გოგიტიძე, შანიძე, **ნახევარმცველები** — ტუღუში, მუჯირი, თორლაშვილი, კანტიძე, **თავდამსხმელები** — მაჭუტაძე, ხომერიკი, აფხაზავა — ეს ის ძირითადი ბირთვია, ვის მხრებზეც გადაიარა გასული საუკუნის მიწურულის ბათუმის „დინამოს“ ავ-კარგმა. ასე რომ, ტრიუმფისთვის ნოყიერი ნიადაგი უკვე არსებობდა.

და აი, მივადექით გვირგვინს — ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა **(თორნიკე რიჟვაძე)** და ბიზნესის **(არჩილ ბერიძე** და სულმნათი **ჯონი ბაკურიძე)** ერთობლივი ძალისხმევით ბათუმის ახალ, ევროსტანდარტების შესაბამის „აჭარაბეთ არენაზე“ საქართველოს მეათე ჩემპიონმა თაობათა ნაამაგარი საჩემპიონო ფარი პირველად ჩაიბარა.

ლოგიკურია, რომ ამ მიღწევის ავტორი ის **გია გეგუჩაძეა,** ვინც 2004 წელს თბილისის „დინამო“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა და კოლეგათა შორის სამწვრთნელო ინტელექტით გამოირჩევა.

ისიც სათქმელია, რომ ღირსეულ კონკურენტებთან დავაში ბათუმის „დინამო“ ეროვნული ნაკრების საბაზო კლუბად ყალიბდება (კუპატაძე, ჩაბრაძე, მამუჩაშვილი, აზაროვი). არის სასიამოვნო სიახლეც — გუნდის ბრაზილიელმა ლიდერმა ჟოვანი ფლამარიონმა საქართველოს მოქალაქეობა მიიღო და ამიერიდან ეროვნულ ნაკრებშიც შეეძლება თამაში.

მოკლედ, ქათქათა ბათუმში „ოქროს ხანა“ იწყება.

◉ ვითარება

„ომიკრონის“ სინდრომი

მიმავალი სპორტული სეზონის უკანასკნელი კომპლექსური ღონისძიება — ზამთრის 30-ე უნივერსიადა კორონავირუსის ახალი შტამის — ომიკრონის აქტიური გავრცელების გამო გაუქმებულია.

„ძალიან იმედგაცრუებულნი ვართ იმით, რომ 11-21 დეკემბერს ვერ შევძლებთ მთელი მსოფლიოდან პრესტიჟული ფორუმის მონაწილეთა მიღებას შვეიცარიის ქალაქ ლიუცერნში. ისინი ხომ მონდომებით ემზადებოდნენ სტარტებისთვის“, — გულისტკივილს ვერ მალავს საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი **გვიდო გრაფი.**

რაც შეეხება პერსპექტივას, 2023 წელს მედლები ამერიკულ ლეიკ-პლესიდში უნდა გათამაშდეს.



◉ ფსკერზე

ავტოლელო!

ნათქვამია — აღმართს დაღმართი მოსდევსო, მაგრამ ის, რაც თაობათა მიერ მოტანილი სასახელო ქართული რაგბის 60-წლოვანი იუბილეს დღეებში „ავჭალის“ სტადიონზე მოხდა, შეგვიძლია ქვესკნელად შევაფასოთ.

რასაკვირველია, გაუთვალისწინებელი შემთხვევისგან არავინაა დაზღვეული, მაგრამ სენსაციასაც გააჩნია, ამიტომ პოპულარული აქსიომის მოხმობა — წაგება და მოგება ძმები არიანო, ამჯერად, ჭრილობაზე მარილის მოყრის ტოლფას საქციელად გამოიყურება.

დიახ, როცა სუპერთასის გათამაშების მესამე შეხვედრას ჩვენი პირველი ფრენჩაიზი „შავი ლომი“ საკუთარ სარბიელზე კურდღელივით აგებს ტურნირის უიმედო აუტსაიდერთან, რომელსაც მანამდე ყველა მატჩი წაგებული ჰქონდა, ბოდიში, მაგრამ ამ დროს ტაქტის დაცვა ძალიან ძნელია, მით უმეტეს, როცა მეტოქე იმ ქვეყნის კლუბია, რომელიც სწორედ სპორტის აღნიშნულ სახეობაში უკვე ათწლეულებია დაბალ წინაღობად გვყავს გადაქცეული და მასთან თავმოყვარეობის შემლახავ ფიასკოს ყველაზე უარეს სიზმარშიც კი ვერ წარმოვიდგენდით (არავითარი პოლიტიკა!).

საუბარია პენზის „ლოკომოტივზე“, რომელმაც შავი შაბათი გაგვითენა — 16:19.

ზოგადად, სიურპრიზის საწინააღმდეგო, რომელიც ნებისმიერი თამაშის შემადგენელი ნაწილი და ხშირად მშვენებაცაა, არაფერი გვაქვს, მაგრამ ძალიან არ გვსურს, რომ ეს კრახი რაიმე უკეთურობის გამოძახილი იყოს და ტენდენციად ჩამოყალიბდეს.

◉ შტანგა

მსოფლიოზე - 10 სპორტსმენით

ტაშკენტში გუშინ დაიწყო ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი. შეჯიბრებაში 74 ქვეყნის 432 წარმომადგენელი იასპარეზებს, მათ შორის 10 ქართველი ათლეტი (ნაკრების მთავარი მწვრთნელი გიორგი ასანიძე, მწვრთნელები — ავთო გახოკიძე, გია ცირეკიძე, ექიმი — გიორგი ჭინჭარაული, მასაჟისტი — რუსლან ღიბრაძე) იქნება.

კორონავირუსთან დაკავშირებული პრობლემების გამო ტაშკენტში არ ჩავლენ ჩინეთის, სამხრეთ აფრიკის, ბოტსვანის, ნამიბიის, ზიმბაბვეს, მოზამბიკის, მადაგასკარის, ლესოტოს, ესვატინის, ტანზანიის და ჰონკონგის გუნდები.

პირველობაზე ქართველ ძალოსანთა გამოსვლის განრიგი ასეთია: **9 დეკემბერი.** 61 კგ. შოთა მიშველიძე და რამინ შამილიშვილი; **10 დეკემბერი.** 73 კგ. კახი ასანიძე; **13 დეკემბერი.** 89 კგ. რევაზ დავითაძე; **14 დეკემბერი.** 96 კგ. ირაკლი გობეჯიშვილი და ანტონ პლესნოი; **15 დეკემბერი.** 102 კგ. ზაზა ლომთაძე და ირაკლი ჩხეიძე; **17 დეკემბერი.** (109 კგ. ბაქარ თურმანიძე და ლაშა ტალახაძე.

თამაზ ტყემალაძე



ჩვენი დედაუნივერსიტეტის სტუდენტთა სამეგობროს ყველაზე გამორჩეული, კოლორიტული და დაუვიწყარი წარმომადგენელი თამაზ ტყემალაძე გარდაიცვალა, თუმცაღა, ამ გარდაცვალებით მისი არდავიწყების, მისი უკვდავების ახალი ხანა დაიწყო... „ღმერთმა გიშველოს, თამაზის სიკვდილო, ჩვენი სიცოცხლეც ფასობს შენითა“... გმადლობ, რომ ასეთი მაღალი დონის პუბლიცისტი, ჟურნალისტი, პედაგოგი და დიდი ქართული მწერლობის მცოდნე იყავი!

მშვიდად განისვენე მახათას პანთეონში, ოლიმპიური სიმშვიდის რაინდო, თბილისის საპატიო მოქალაქევ, ჭეშმარიტო პატრიოტო და მამულიშვილო, ჩვენო სიამაყევ და სიკეთის მთესველო, ძმაო!

ვუსამძიმრებ მაღალი ზნეობისა და პატიოსნების ნიმუშს, თამაზის მეუღლეს მარინა დამენიას და დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთ ღირსეულ შვილს დათო თამაზის ძე ტყემალაძეს! გფარავდეთ ღმერთი!

სპარტაკ ქობულია

კაცი, რომელიც დააკლდა კაცებს

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, ტყუილი ყოფილა...

პირიქით, მას შემდეგ რაც ამ ოციოდე წლის წინათ უფლის განგებით 13 წლის შვილს ჩემი ხელით მივაყარე მიწა, არ არსებობს წამი, ქვეშეცნეულში რომ არ მახსოვდეს მარადიულ სევდად ქცეული სატკივარი!

ამაზე დიდი სიმწარე არაფერია. ამიტომაც ზოგადად სიკვდილის აღქმა დამიჩლუნგდა, ბევრის სიკვდილმა დამამწუხრა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმეს სიკვდილი მეტკინა — ამას წინათ კიდევ ერთი პიროვნებით „გამდიდრდა“ ჩემი „არქივი“ — კოტე ინაშვილი აღარ არის, ნაღდი ქალაქელი, გულქართლი ვაჟკაცი კაცი! მეტი რა ვთქვა, ვეღარ მომიფიქრებია, მაგრამ ერთი კი უნდა ვთქვა — მე და ცხონებულმა კოტემ ჩავშალეთ 2012 წლის 17 მაისს ლგბტ-პედორასტების პარადის პირველი მცდელობა თბილისში, როდესაც ზემელზე წინ გადავუდექით მათ ჭრელბაირაღებიან კოლონას, გამვლელ-გამომვლელებიც მოვიშველიეთ (რომლებსაც ავუხსენით, თუ რა ხდებოდა) და ქალაქი არ წავაბილწვინეთ.

ცალკე საუბრის თემაა „ობიექტივზე“ კოტეს საავტორო გადაცემა, რომლის დაწყებასაც სულმოუთქმელად ელოდნენ საპაკაშვილის ციხეების პატიმრები.

დაბოლოს, თითქმის არავინ იცის, რომ ე.წ. ციხის კადრების მოპოვების ერთ-ერთი ავტორი კოტე ინაშვილიც იყო.

ერთი სიტყვით კოტეს ტრაგიკული დაღუპვით ზოგმა ძმა დაკარგა, ზოგმა — მზრუნველი მამა, ზოგმა — მეგობარი, ახლობელი და ა.შ. მე კი, ჩემო უმცროსო ძმობილო, უბრალოდ მეტკინე — მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის თბილისის მიწა, რომლის რამდენიმე მუჭა მეც მოგაყარე კაცს, რომელიც დაგვაკლდი კაცებს!

დათო მხეიძე

ნათელა ვასაძე შვილებით მარიკა და ირინე დანელიებით ოჯახებით იუწყებიან ერთგული მეგობრის, ღირსეული ქართველი მანდილოსნის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის

ლეილა ჭეიშვილის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: 9 დეკემბერს, 14 საათზე, საბურთალოს პანთეონში.

ლუბა ბიბილეიშვილი, თინა დარასელია, ვაჟა გიგაური, ვაჟა დანელია იუწყებიან უახლოესი მეგობრის, ყოფილი ა. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის გაზეთის „პედაგოგის“ რედაქტორის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის

ლეილა ჭეიშვილის

გარდაცვალებას

გამოსვენება: 9 დეკემბერს 14 საათზე;
მისამართი: ფალიაშვილის ქ. №51.

ძმა გიგი (გიორგი) და ძმისშვილი იულონ (ლულუ) ჭეიშვილები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ იულონის ძე ჭეიშვილი

საზოგადოება „კუს ტბა“ მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების წევრი

გივი ზეიკიძე

და თანადგომას უცხადებს ოჯახს და ძმას დათო ზეიკიძეს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ფეხბურთელი, ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი და მეგობარი

ნიკო ცაგარეიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სს „თბილისის მონოლითმშენი“

აცხადებს, რომ 2021 წლის 27 დეკემბერს, 17 საათზე ქ. თბილისში, წერეთლის გამზირის №57-ში გაიმართება სს-ის საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. სს-ის 2020 წლის შედეგები;
2. სხვადასხვა

სს „თბილისის მონოლითმშენის“ ადმინისტრაცია

უახლოესი მეგობრები **ოთარ ფაცაცია, ფრიდონ ადამია, ბონდო ჯიძია, იგორ ქობალია, გურამ გუნავა, ბაკურ გულუა, ლერი ჭითანავა, მირზა ქორქაშვილი, თემურ მურღულია, ვოვა გვარჯალაძე, შალვა მგალობლიშვილი, ავთო ბესელია, ზურაბ აბშილავა, აპოლონ ლულათავა, ჯემალ კვირტია, აპოლონ გადელია, ზაურ თელია, მურმან ნაჭყებია, ჯოჯი იზორია, ვახტანგ სიჭინავა, თამაზ კვარაცხელია, ჯიმი ქვარცხავა, ოთარ ჭითანავა** გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძალოვანი და სამართალდამცავი სტრუქტურების ყოფილი მაღალჩინოსანი, უსპეტაკესი ადამიანი, საქმის დიდი პროფესიონალი, სამეგობროსა და კოლეგებში გამორჩეული პიროვნება

ლეო ჯოჯუა

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს, ახლობლებსა და სანათესაოს.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“
ვაჟა ფშაველას ქ. №48
599 79-76-79; 568 82-09-84

თოვლის პაპის მოლოდინში



მდუმარება ქარიშხლის წინო — ასე ითარგმნება ქართულად ერთი პოპულარული სლავური გამოთქმა და მისი არსი ზედმიწევნით მიესადაგება ჩვენს ქვეყანაში სადღეისოდ შექმნილ პოლიტიკურ ამინდს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ზეგ საღამოს 20 საათზე საპროტესტო აქციათა ეპიცენტრში — პარლამენტისწინა ქვაფენილზე დედაქალაქის მერია საახალწლო ნაძვის ხის დადგმასა და „ზამთრის სოფლის" გახსნას აანონსებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამიტინგე მუხტი კიდევ უფრო დაიკლებს — ჯერ ერთი, არჩევნებში თითქმის ყოველწლიური გაბითურების მიუხედავად, პროტესტანტებშიც მოიძებნება ის ნაწილი, რუსთაველზე განავარდება თუ წამოკოტრიალება ფიზიოლოგიური (ბუნებრივი) მოთხოვნილების დაკმაყოფილების ტოლფას აქტად რომ მიაჩნია, მათ ხუშტურებს კი, დიდი ალბათობით, სამართალდამცავები ამჯერად მაინც — წინასადღესასწაულო პერიოდში კანონის შესაბამისად ალაგმავენ.

არის მეორე ფაქტორიც — ბოლოს და ბოლოს, თვით ოპოზიციასაც მოუწევს შთამომავლობაზე ზრუნვა და არა გვგონია, აღნიშნულმა ჭრელმა მასამ ისეთი პრინციპულობით გაგვაკვირვოს, რომ კიდევ ერთხელ შეასრულოს დაშლის პირას მისული ნაცმოძრაობის ბეკეკას როლი და მომავალი თაობის სურვილების შესრულებას ყოფილი მმართველი პარტიის დაძახილზე დესტაბილიზაციის ტალღის აგორების მცდელობა ამჯობინოს — დაგვეთანხმებით, ასეთი პერსპექტივა ჩანასახშივე ჩასაფლავებლადაა განწირული.

ბუნებრივია, ეს ის შემთხვევაა, როცა ეშმაკს (გნებავთ, სატანას) არ სძინავს და, დიდი მოურავისა არ იყოს, ვიდრე ის ყოფილ სამშობლოშია, შესაბამისმა სტრუქტურებმა ასი თვალი და ასი ყური უნდა გამოიბან, რათა მოვლენათა ანტისახელმწიფოებრივად განვითარების ყოველგვარი რისკი გამოირიცხოს.

რადგან მაოხრებელი გზირის სახელოვანი წინაპარი ვახსენეთ, მოდით, „თანამედროვე ალმაშენებლის" მოჭარბებულ სამოგზაურო გატაცებასაც ავუნთოთ მწვანე შუქი და საშობაოდ საქართველოს რეგიონებში შოპ-ტურის განხორციელების საშუალება მივცეთ, ოღონდ — გიჟის თეთრი ხალათით.

მართლაც, თუ უკვე ორი კვირაა, მისგან ულვთოდ გამეტებული გორის სამხედრო ჰოსპიტლის პაციენტია, ენგურის მოსაზღვრე, ასევე მის მიერ ჩაბარებულმა მხარემ რა დააშავა, სადაც რუხის ახალ კლინიკაშიც კვალიფიციურად უმკურნალებენ?

გია პლატონიშვილი

„5 მიზეზი, თუ რატომ უნდა ვიმოგზაუროთ საქართველოში"...

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მარკეტინგული კამპანია მსოფლიოში ცნობილი და გავლენიანი მედიასაშუალებების გამოყენებით გრძელდება. ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

„ნოემბერ-დეკემბერში Conde Nast-ის ოთხ ონლაინ გამომცემლობაში: Vogue France, Conde Nast Traveller UK, Conde Nast Traveller Spain lf Architectural Digest Germany საქართველოს ტურისტული მიმართულების შესახებ ვრცელი სტატიები და ფოტო რეპორტაჟები მომზადდა.

„5 მიზეზი თუ რატომ უნდა ვიმოგზაუროთ საქართველოში" ამ სათაურით მსოფლიოში ცნობილმა ჟურნალებმა სტატიები ინგლისურ, ესპანურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე გამოსცეს. სტატიების პარალელურად ელექტრონული ჟურნალების სოციალურ გვერდებზე სპეციალური პოსტები იტვირთება საქართველოს შესახებ, სადაც ე.წ. „სთორი" და მოკლე ვიდეორგოლებია განთავსებული და საქართველოს ტურისტული მიმართულებაა აღწერილი. მრავალენოვან სტატიებში მიმოხილულია საქართველოს სამთო კურორტები, მესტია, ბაკურიანი, გუდაური, გოდერძი, ბახმარო, ზამთრის ტურიზმის ექსტრემალური სახეობებით. სტატიების საშუალებით მკითხველს საშუალება აქვს გაეცნოს საქართველოში არსებულ სამთო-ბილიკებს, რომელიც რაჭას, სვანეთს, თუშეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებს მოიცავს.

სტატიებში აღწერილია სპა-კურორტები: ბორჯომი, საირმე, წყალტუბო. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართულ ღვინოს, კულინარიას, ისტორიულ ძეგლებს, მცხეთას, სიღნაღს და ძველი თბილისის არქიტექტურას.

ტურიზმის ადმინისტრაციის მასშტაბური კამპანიის ფარგლებში მსოფლიოში უდიდესი მედია პლატფორმების ვებ-გვერდებზე საქართველოს ტურისტული მიმართულების შესახებ ვიდეორგოლები, ფოტორეპორტაჟები, სტატიები და სარეკლამო ბანერები განთავსდა. კამპანია სოციალურ ქსელებსაც მოიცავს: Instagram, Facebook Twitter და Linkedin", — ნათქვამია ინფორმაციაში.

ქართველი მხედართმთავრის „სადარბაზო საათი"

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო სამუზეუმო ფონდების უნიკალური ექსპონატებითა და ხელოვნების ნიმუშებით შევსებას აგრძელებს. ამჯერად, კულტურის ისტორიის მუზეუმის (ხელოვნების სასახლე) სამუზეუმო ექსპონატთა შემსყიდველი კომისიის გადაწყვეტილებით, მუზეუმმა კულტურის სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხებით გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში, ე. წ. „სადარბაზო საათი" შეიძინა, რომელიც, გადმოცემის თანახმად, ქართველ მხედართმთავარსა და გენერალს, გიორგი მაზნიაშვილს ეკუთვნოდა, — ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.

საათის უკანა მხარეს არსებული დამღა ადასტურებს, რომ ის XIX საუკუნის დასასრულს გერმანიაში, კერძოდ ბერლინშია დამზადებული (მწარმოებელი სამეფო კარის ოსტატი G. Ellinghausen). ნივთი საქართველოში რუსეთის არმიის გენერალს, ლიტერატორ კონსტანტინე მამაცაშვილს ჩამოუტანია, რის შემდეგაც ის ჯერ გენერალ მაზნიაშვილს მიუღია საჩუქრად, შემდეგ კი ნივთი თბილისელ მოქალაქეებს შეუძენიათ.

„სადარბაზო საათი" წითელი ძვირფასმერქნიანი ხისგან არის დამზადებული. საათის მექანიზმი მუშაა და უახლოეს მომავალში ის ხელოვნების სასახლის მუდმივმოქმედ ექსპოზიციაში დაიდებს ადგილს. კულტურის სამინისტროს მიერ მუზეუმებისთვის ექსპონატების შეძენა მიმდინარე წლის ივლისის თვიდან ეტაპობრივად ხორციელდება, რის შესახებაც საზოგადოებას ინფორმაცია სრულად მიეწოდება.

სწავლა სიბერემდეო...

სამხრეთ ინდოეთში მცხოვრებმა ქალმა, რომელიც მშობლებმა 16 წლის ასაკში გაათხოვეს, გადაწყვიტა, ოცნება აესრულებინა და წერა-კითხვა ესწავლა.

როგორც 104 წლის ქალი ყვება, ყოველთვის, როცა ანბანს ხედავდა, სურდა, ასოების ცნობა შეძლებოდა, თუმცა, მცირე ასაკში

დაოჯახების გამო, განათლების მიღება ვეღარ მოახერხა და ათობით წელი ოჯახზე ზრუნვას შეალია.

„მინდოდა, მასწავლებელი გამოვსულიყავი, მაგრამ ეს ვერ მოხდებოდა, რადგან არასდროს მივლია სკოლაში", — ამბობს ის. ცოტა ხნის წინ, ქალმა გადაწყვიტა, წერა-კითხვა ესწავლა და სახელმწიფო წიგნიერების პროგრამაში ჩაერთო. მან წერა-კითხვის ტესტი შთამბეჭდავი შედეგით ჩააბარა — 100-დან 89 ქულა მიიღო. ქალი ამბობს, რომ კიდევ დიდხანს სურს იცოცხლოს და საკუთარი შთამომავლების წარმატება იხილოს.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 9 დეკემბერს

სრ

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0967; ევრო - 3.4993;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1037;
100 რუბლი - 4.1955; თურქული ლირა - 0.2291;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8215;
1000 სომხური დრამი - 6.2921.

ამინდი 8 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+15
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+12,	დღე	+23
მთიანი რაიონები -	ღამე	+3,	დღე	+18
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge